



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

დიდი პალატა

**საქმე ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (VON HANNOVER v.  
GERMANY (no. 2))**

*(განაცხადები ##. 40660/08 and 60641/08)*

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2012 წლის 7 თებერვალი

*ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, თუმცა შესაძლოა დაექვემდებაროს  
სარედაქციო შესწორებებს.*



**საქმეზე ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (Von Hannover v. Germany (no. 2))**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლას ბრატზა, *პრეზიდენტი*,  
 ჯან-პოლ კოსტა,  
 ფრანსუაზ ტულკენი,  
 ჯოზეფ კასადევალი,  
 ლეხ გარლიკი,  
 პერ ლორენზენი,  
 კარელ იუნგვიერტი,  
 რენატე იეგერი,  
 დავიდ ტორ ბიორგვინსონი,  
 იან სიკუტა,  
 მარკ ვილიგერი,  
 ლუისლოპეს გუერა,  
 მარიანა ლაზაროვა ტრაიკოვსკა,  
 ნონა წოწორია,  
 ზდრავკა კალიადევა,  
 მიჰაი პოლელუნგი,  
 კრისტინა პარდალოსი, *მოსამართლეები*,

და მაიკლ ო'ბოილე, *სასამართლო მდივნის მოადგილე*,

2010 წლის 13 ოქტომბერს და 2011 წლის 7 დეკემბერს ითათბირა და ბოლოს მითითებულ დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

### პროცედურა

1. საქმის ინიცირება მოხდა სასამართლოს წინაშე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენციის“) 34-ე მუხლი საფუძველზე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ მონაკოს მოქალაქის, პრინცესა კაროლინ ვონ ჰანოვერის და გერმანიის მოქალაქის, პრინც ერნს ოგუსტ ვონ ჰანოვერის (განმცხადებლები) ორი განაცხადის წარდგენით (nos. 40660/08 and 60641/08) 2008 წლის 22 აგვისტოს და 15 დეკემბერს.

2. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ გერმანიის სასამართლოების მიერ მათი ფოტოების შემდგომი გავრცელების

აკრძალვაზე უარით დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით მათთვის გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

3. განაცხადები თავდაპირველად წარედგინა სასამართლოს მეხუთე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის - „რეგლამენტის“ - 52.1 მუხლი). 2008 წლის 13 ნოემბერს ამ სექციის პალატამ გადაწყვიტა შეტყობინების გაგზავნა გერმანიისთვის (მოპასუხე სახელმწიფო) #40660/08 განაცხადთან დაკავშირებით. კონვენციის 29.3 მუხლის საფუძველზე, იმ დროს არსებული ჩანაწერის მიხედვით, მან ასევე გადაწყვიტა, რომ საქმის დასაშვებობის და არსებითი განხილვა ერთდროულად უნდა განხორციელებულიყო. 2009 წლის 8 იანვარს მეხუთე სექციის პრეზიდენტმა გადაწყვიტა #60641/08 განაცხადთან დაკავშირებით შეტყობინება გაეგზავნა მოპასუხე სახელმწიფოსთვის. კონვენციის 29.3 მუხლის თანახმად იმ დროს არსებული ჩანაწერის მიხედვით, მან ასევე გადაწყვიტა, რომ საქმის დასაშვებობის და არსებითი განხილვა ერთდროულად უნდა განხორციელებულიყო. 2009 წლის 24 ნოემბერს მეხუთე სექციის პალატამ გადაწყვიტა ამ ორი განაცხადის გაერთიანება.

2010 წლის 30 მარტს პალატამ, შემდეგი შემადგენლობით: პერ ლორენცი, *პრეზიდენტი*, რენატე ჯაგერი, კარელ იუნგვიერტი, რაიტ მარუსტე, მარკ ვილიგერი, მირიანა საზაროვა ტრაიკოვსკა და ზდრაჟკა კალაიდიევა, ასევე კლაუდია უესტერდიეკი, *სექციის მდივანი*, მას შემდეგ რაც გადაწყვიტა წინამდებარე განაცხადები განაცხადთან *აქელ სპრინგერი AG გერმანიის წინააღმდეგ* (no. 39954/08), რომელზეც შეტყობინება გაიგზავნა 2008 წლის 13 ნოემბერს და ეხებოდა განმცხადებელი კომპანიის წინააღმდეგ აკრძალვას ტელე-მსახიობის დაკავებასთან და სისხლისსამართლებრივ ბრძანებასთან დაკავშირებით ორი ანგარიშის გამოქვეყნებაზე, იურისდიქცია დასთმო დიდი პალატის სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით არცერთ მხარეს პრეტენზია არ გამოუცხადებია (კონვენციის 30-ე მუხლი და [რეგლამენტის] 72-ე მუხლი).

4. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების და სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის ძველი რედაქციის მიხედვით. 2011 წლის 3 ნოემბერს ჟან-პოლ კოსტას, როგორც სასამართლოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა ამოიწურა. ნიკოლას ბრატჩამ შეცვალა ის ამ პოზიციაზე და ამ საქმეზე დიდი პალატის პრეზიდენტობაც გადაიბარა ([რეგლამენტის] 9.2 მუხლი). ბატონი კოსტა

განაგრძობდა უფლებამოსილების განხორციელებას მისი ვადის ამოწურვის შემდეგაც, კონვენციის 23.3 მუხლისა და [რეგლამენტის] 24.4 მუხლის თანახმად. საქმის საბოლოო განხილვისას შემცვლელმა მოსამართლეებმა ლეხ გარლიკმა და ნონა წოწორიამ ჩაანაცვლეს რაიტ მარუსტე და ხრისტოს როზაკისი, რომლებსაც არ შეეძლოთ საქმის შემდგომ განხილვაში მონაწილეობის მიღება ([რეგლამენტის] 24.3 მუხლი).

5. დიდი პალატის პრეზიდენტმა გადაწყვიტა შეენარჩუნებინა კონვენციის 29.3 მუხლის მოქმედება დიდი პალატის წინაშე განაცხადების დასაშვებობისა და არსებითი განხილვის ერთობლივად შესწავლის თვალსაზრისით. მან ასევე გადაწყვიტა, რომ წინამდებარე საქმეზე სამართალწარმოება უნდა წარმართულიყო საქმესთან *აქსელ სპრინგერი AG გერმანიის წინაშე* ერთად ([რეგლამენტი] 42.2 მუხლი).

6. განმცხადებელმა და მოპასუხე სახელმწიფომ წარმოადგინეს წერილობითი მოსაზრებები საქმის დასაშვებობასთან და არსებით მხარესთან დაკავშირებით. მხარეებმა წერილობითი პასუხი გასცეს მოწინააღმდეგე მხარის წერილობით მოსაზრებებს.

7. ამასთან მესამე მხარეების კომენტარები იქნა მიღებული: „გერმანიის ჟურნალების გამომცემლების ასოციაციისგან“ (*Verband Deutscher Zeitungsverleger*), ერთერთი საგამომცემლო კომპანიისგან, რომელმაც გამოაქვეყნა სადაო ფოტოები, Ehrlich & Sohn GmbH & Co. KG, „მედია-იურისტთა ასოციაციისგან“, „მედიის სამართლებრივი დაცვის ინიციატივისგან“, „საერთაშორისო პრესის ინსტიტუტისგან“ და „გაზეთებისა და ახალი ამბების გამომცემლობების მსოფლიო ასოციაციისგან“, რომელთაც პრეზიდენტმა ნება დართო, ჩარეულიყვნენ წერილობით პროცედურაში (კონვენციის 36.2 მუხლი და [რეგლამენტის] 44.2 მუხლი). მხარეებს მიეცათ შესაძლებლობა, ეპასუხათ ამ კომენტარებზე ([რეგლამენტის] 44.5 მუხლი).

8. 2008 წლის 17 ნოემბერს მონაკოს განემარტა, რომ ქონდა უფლება წერილობითი მოსაზრებები წარმოედგინა, მაგრამ მან სასამართლოს განუმარტა, რომ არ სურს სამართალწარმოებაში მონაწილეობა. 2010 წლის 31 მარტს ამ უფლების კიდევ ერთხელ შეხსენების შემდეგ, მას შემდეგ რაც პალატის გადაწყვეტილებით იურისდიქციის დათმობა მოხდა დიდი პალატის სასარგებლოდ, მონაკოს მაინც არ გამოუვლენია სამართალწარმოებაში მონაწილეობის ინტერესი.

9. საქმის მოსმენა საჯაროდ გაიმართა 2010 წლის 13 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა სახლში, სტრასბურგში ([რეგლამენტის] 59.3 მუხლი).

სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

(a) *მოპასუხე სახელმწიფოს სახელით*

ქალბატონი ა. უიტლინგ-ვოგელი, იუსტიციის ფედერალური სამინისტრო, *წარმომადგენელი საქმეზე*,  
 ბატონი ს. ვოლტერი, საჯარო სამართლის პროფესორი, *ექსპერტი*,  
 ქალბატონი ა. ვონ უნგერნ-ტრერნბერგი, ასისტენტი,  
 ბატონი რ. სომერლატე, კულტურის ფედერალური სამსახური,  
 ბატონი ა. მაატში, ჰამბურგის რეგიონული სასამართლოს მოსამართლე, *მრჩეველები*;

(b) *განმცხადებლის სახელით*

ბატონი მ. პრინზი, ჰამბურგის ადვოკატთა ასოციაციის წევრი,  
 ბატონი მ. ლეჰრი, ჰამბურგის ადვოკატთა ასოციაციის წევრი,  
*ექსპერტი*,  
 ქალბატონი ს. ლინგენსი, იურისტი, *მრჩეველი*.

სასამართლომ მოუსმინა ბატონ ვოლტერს და ბატონ პრინზს.

## THE FACTS

### I. საქმის გარემოებები

10. განმცხადებლები, მონაკოს უკანასკნელი პრინცის რეინიერ III-ს უფროსი ქალიშვილი და მისი მეუღლე, დაიბადნენ შესაბამისად 1957 და 1954 წლებში და ცხოვრობდნენ მონაკოში.

## A. საქმის პრეისტორია

11. 1990 წლიდან პირველი განმცხადებელი ცდილობდა - ხშირად სასამართლოების მეშვეობით - მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოების პრესაში გამოქვეყნების თავიდან აცილებას.

12. 1993 და 1997 წლებში სამ გერმანულ ჟურნალში გამოქვეყნებული ფოტოების ორი სერია, რომელზეც გამოსახული იყო განმცხადებელი მსახიობ ვინსენტ ლინდონთან თუ მის მეუღლესთან ერთდ, გახდა გერმანულ სასამართლოებში სამი საქმის დავის საგანი, კერძოდ კი შედეგად 1995 წლის 19 დეკემბერს მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, ხოლო 1999 წლის 15 დეკემბერს ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პირველი განმცხადებლის საჩივრები.

13. ეს განხილვები გახდა დავის საგანი საქმეზე *ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ*, 2004 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება (no. 59320/00, ECHR 2004-VI) რომელზეც [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებით შეილახა პირველი განმცხადებლის კონსტიტუციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

14. რაც შეეხება ეროვნული სასამართლოების დასაბუთებას, სასამართლომ შემდეგი მიგნებები დააფიქსირა:

“72. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს რთულად მიაჩნია საავტორო უფლებების შესახებ კანონის (ხელოვნებაზე საკუთრება) 23.1 მუხლის ინტერპრეტაციაზე დათანხმებას, რომელიც ეყრდნობა ადამიანის როგორც თანამედროვე საზოგადოების “par excellence” ფიგურის აღწერას. ვინაიდან ეს განმარტება ადამიანს უტოვებს პირადი ცხოვრების თუ მათი გამოსახულების კონტროლის ძალიან შეზღუდულ დაცვას, ის შეიძლება თანაბრად გავრცელდეს პოლიტიკოსებზე, რომლებიც თავიანთ საჯარო ფუნქციას ახორციელებენ. თუმცა, ეს არ არის გამართლებული „კერძო“ პირთან მიმართებით, როგორიც განმცხადებელია, ვის მიმართაც საზოგადოებისა და პრესის ინტერესი ეფუძნება მხოლოდ სამეფო ოჯახისადმი მის კუთვნილებას, მაშინ როცა ის თავად არანაირ ოფიციალურ მოვალეობებს არ ასრულებს.

ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ გარემოებებში [საავტორო უფლებების შესახებ] კანონი უნდა განიმარტოს ვიწროდ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელმწიფო ასრულებს კონვენციით მისთვის დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას პირადი ცხოვრება და საკუთარი გამოსახულების კონტროლის უფლება.

73. და ბოლოს, თანამედროვე საზოგადოების “*par excellence*” ფიგურებსა და „მეტ-ნაკლებად“ საჯარო ფიგურებს შორის განსხვავება უნდა იყოს ნათელი და აშკარა, ისე რომ სახელმწიფოში, რომელშიც კანონის უზენაესობაა დამკვიდრებული, ადამიანებს აქვთ კონკრეტული მინიშნება მათთვის მისაღებ ქცევაზე. ამასთან ერთად, მათ ზუსტად უნდა იცოდნენ როდის და სად იმყოფებიან ისინი დაცულ სივრცეში ან პირიქით, სფეროში სადაც უნდა ელოდნენ სხვების მხრიდან ჩარევას, განსაკუთრებით კი ტაბლოიდური პრესისგან.

74. შესაბამისად სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ გამოყენებული კრიტერიუმი, რომელზეც მათ დააფუძნეს საკუთარი გადაწყვეტილება არ იყო საკმარისი განმცხადებლის პირადი ცხოვრების ეფექტიანად დაცვისთვის. როგორც თანამედროვე საზოგადოების “*par excellence*” ფიგურას, მას არ შეეძლო პრესის თავისუფლებისა და საჯარო ინტერესის სახელით ჰქონოდა მისი პირადი ცხოვრების დაცვის მოლოდინი ჰქონოდა, თუკი ის არ მოეფარებოდა საჯარო თვალს და უფრო მეტიც, თუკი წარმატებულად ვერ დაამტკიცებდა ამას (რაც შესაძლოა რთული ყოფილიყო). თუ ასე არ ხდება, ის იძულებულია მიიღოს, რომ თითქმის ნებისმიერ დროს, სისტემატურად შეუძლიათ მისი ფოტოგადაღება, და რომ ეს ფოტოები ფართოდ გავრცელდება იმ შემთხვევაშიც კი, როგორც წინამდებარე საქმეზე, თუ ფოტოებზე და თანმხლებ სტატიებში ექსკლუზიურად ასახულია მისი პირადი ცხოვრების დეტალები.

75. სასამართლოს აზრით სივრცითი იზოლაციის კრიტერიუმი, მიუხედავად თეორიაში მისაღებობისა, რეალობაში მეტად ბუნდოვანია და შესაბამისი პირისთვის რთულია განსაჯრეტად. წინამდებარე საქმეზე, განმცხადებლის მხოლოდ კლასიფიცირება, როგორც თანამედროვე საზოგადოების “*par excellence*” ფიგურის არ არის საკმარისი მის პირად ცხოვრებაში ჩარევის გასამართლებლად.

## B. სადაო ფოტოები

15. პირველი განმცხადებლის საქმეზე [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით განმცხადებლებმა სამოქალაქო სასამართლოებში რამდენიმე საქმე წამოიწიეს, რომლითაც ცდილობდნენ გერმანულ ჟურნალებში გამოქვეყნებული მათი ფოტოების შემდგომი გავრცელების აკრძალვას.

### 1. ჟურნალ Frau im Spiegel-ში გამოქვეყნებული ფოტოები

16. პირველი სამი ფოტო გამოაქვეყნა საგამომცემლო კომპანია Ehrlich & Sohn GmbH & Co. KG ჟურნალში *Frau im Spiegel*.

**(a) პირველი ფოტო**

17. პირველ ფოტოზე, რომელიც გამოქვეყნდა 2002 წლის 20 თებერვლის ჟურნალში #9/02 გამოსახული იყვნენ განმცხადებლები სენტ-მორიცში სათხილამურო დასვენების დროს სეირნობისას. ფოტოსთან ერთად იყო სტატია სათაურით: „პრინცი რაინერი არ არის მარტო სახლში“ (*“Fürst Rainier – Nicht allein zu Haus”*). სტატია შემდეგი შინაარსის არის:

“მონაკოს სასახლეში მაგნოლიის პირველი კვირტები ყვავის, მაგრამ ჩანს პრინც რაინერს (78) არ აინტერესებს მოახლოებული გაზაფხული. ის სეირნობს თავის ქალიშვილ სტეფანისთან ერთად (37). [ქალიშვილი] ეხმარება მას სიარულისას. [პრინცს] ცივა მიუხედავად მზისა. მოხუცი ჯენტლმენი დადლილი ჩანს. მონაკოელებმა თავიანთი პრინცი ბოლოს სამი კვირის წინ საგამოფენო ფესტივალზე იხილეს. ის მხნედ და შემართებით იყო და მიყვებოდა ქალიშვილს, რომელიც იცინოდა. მაგრამ მას მერე მას არ დაუტოვებია სასახლე. არც წმინდა დევიტის - ეროვნული მფარველის სახელობის დღესასწაულზე. ქვეყანა დელავს, ისევე როგორც პრინცი რაინერის შვილები. პრინცი ალბერტი (რომელიც ამჟამად მონაწილეობს „სოლტ ლეიკ სიტიში“ ოლიმპიურ თამაშებში), პრინცესა კაროლინა (რომელიც ისვენებს სენტ მორიცში პრინც ერნსტ აუგუს ვონ ჰანოვერთან ერთად) და პრინცესა სტეფანი მორიგეობით უვლიან მამას. ის მარტო არ უნდა დარჩეს სახლში, როდესაც კარგად არ არის. არც თავისი შვილების სიყვარულის გარეშე.“

პრინცი რეინერის და მისი ქალიშვილის, პრინცესა სტეფანის ფოტო და „სოლტ ლეიკ სიტიში“ ოლიმპიურ თამაშებზე გადაღებული პრინცი ალბერტის ფოტო გამოსახული იყო იმავე გვერდზე.

**(b) მეორე ფოტო**

18. 2003 წლის 20 თებერვალს #9/03 ნომერში გამოქვეყნებულ მეორე ფოტოზე გამოსახულია განმცხადებელი, რომელიც სეირნობს სენტ-მორიცში. მინაწერი ამბობს: „ერნს ოგუს ვონ ჰანოვერი და მისი მეუღლე, მონაკოს პრინცესა კაროლინა ტკბებიან მზითა და თოვლით სენტ-მორიცში“. იმავე გვერდზე გამოსახულია პრინცი ალბერტის და ევროპული სამეფო ოჯახების წევრების მცირე ზომის ფოტოები. ფოტოების თანმხლები სტატია სათაურით „სამეფო გართობა თოვლში“ ეხება იმას, თუ როგორ უხარიათ ფოტოებზე გამოსახულ პირებს შეხვედრა სენტ-მორიცში.

### (c) მესამე ფოტო

19.2004 წლის 11 მარტის #12/04 ნომერში გამოქვეყნებულ ფოტოზე გამოსახული არიან განმცხადებლების „ზურს ამ ამბერგის“ საბაგიროზე, მათი სათხილამურო დასვენების დროს. იმავე გვერდზე გამოქვეყნებულია პრინცი რაინერის, პირველი განმცხადებლისა და პრინცი ალბერტის მცირე ზომის ფოტოები, რომლებიც გადაღებულია 19 ნოემბერს ეროვნულ დღესასწაულზე, სათაურით „პრინცესას ბოლო გამოჩენა“. სხვა ფოტოზე, რომელიც გვერდის ნახევარზეა განთავსებული გამოსახულია პირველი განმცხადებელი „ვარდების წვეულებაზე“.

ეს სამი ფოტო არის ილუსტრაცია სტატიისა სათაურით „პრინცესა კაროლინა. მთელი მონაკო ელის მას“. საქმისთვის მნიშვნელოვანი ამონარიდები ამ სტატიიდან იხილეთ აქვე:

“20 მარტს მონაკოში დანიშნული ვარდების წვეულების ბილეთები კვირების განმავლობაში იყიდებოდა. და სტუმრები მოვლენ მხოლოდ მასთან: პრინცესა კაროლინა ვონ ჰანოვერთან (47). ეროვნული დღესასწაულის შემდეგ ის არ დასწრებია არცერთ ოფიციალურ მიღებას... ის არ დასწრებია საგამოფენო ფესტივალს არც წმინდა დევიტის, მონაკოს მფარველი წმინდანის სახელობის დღესასწაულს. ტრადიციულად პრინც რაინერის (80) უფროსი ქალიშვილი ხსნის და ხურავს წვეულებას. მას ეს როლი დედისგან (რომელიც უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა) ერგო მემკვიდრეობით და ეს კაროლინას საყვარელი წვეულებაა... პრინცი, რომელიც მძიმედ ავად არის, ახლახან დაბრუნდა სახლში გულის ოპერაციის შემდეგ და კვლავ სუსტად არის იმისთვის რომ წვეულებას დაესწროს. სტუმართა მისასალმებელი სიტყვა გადაიცემა ტელეკამერებით და გაშუქდება დიდ ეკრანზე. პრინცესა კაროლინა და მისი მეუღლე ერნსტ ვონ ჰანოვერი გახსნიან წვეულებას ვალსით.

ისინი ქორწინების ხუთი წლის იუბილეს აღნიშნავენ იანვარში. და ჰანოვერების ოჯახში კიდევ ერთი სადღესასწაულო მიზეზია: 26 თებერვალს პრინცი 50 წლის ხდება. მან დაბადების დღე აღნიშნა კაროლინასთან და რამდენიმე მეგობართან ერთად სენტ-მორიცის მოდურ თოვლში მოელვარე კურორტზე. წყვილი ისვენებდა „ზურს ამ არლბერგში“, მაგრამ დაბადების დღის აღსანიშნავად რამდენიმე დღით ჩავიდნენ სენტ-მორიცში Palace Hotel-ში.“

### 2. ჟურნალ Frau Aktuell-ში გამოქვეყნებული ფოტო

20. საგამომცემლო კომპანია WZV Westdeutsche Zeitschriftenverlag GmbH & Co. KG ჟურნალ *Frau Aktuell*-ს 2002 წლის 20 თებერვლის #9/02 ნომერში გამოაქვეყნა იგივე ფოტო (ან ფაქტიურად იდენტური), რაც იმავე დღეს გამოქვეყნდა ჟურნალში

*Frau im Spiegel*-ის #9/02 ნომერში (იხილეთ მე-17 პარაგრაფი მაღლა). *Frau Aktuell*-ში ფოტოსთან ერთად გამოქვეყნდა სტატის სათაურით: „ეს არის ნამდვილი სიყვარული. პრინცესა სტეფანი. ის ერთადერთია ვინც უვლის ავადმყოფ პრინცს“. საქმისთვის საინტერესო ამონარიდები სტატიიდან:

“მისი სასიყვარულო ცხოვრება შესაძლოა არ არის მოგვარებული. თუმცა ერთი რამ უდავოა: როდესაც საქმე მამას ეხება პრინცესა სტეფანი იცის საით მიუწევს მას გული. მაშინ როცა ოჯახის სხვა წევრები მსოფლიოს გარშემო მოგზაურობენ, ის მიიჩქარის იყოს პრინცის გვერდით (78), რომელიც მძიმედ ავად არის. ის ერთადერთია ვინც ზრუნავს ავადმყოფ მონარქზე. სტეფანის დამ, კაროლინამ (45) რამდენიმე დღიანი დასვენება მოიწყო მეუღლესთან, ერნსტ ოგუსტთან (48) და მათ ქალიშვილ ალექსანდრასთან (2) ერთად შვეიცარიის თანამედროვე სათხილამურო კურორტზე სენტ-მორიცში. პრინცი ალბერტი კი „სოლტ ლეიკ სიტიში“ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს ოთხკაციანი მარხილების შეჯიბრში. ‘მეხუთედ და ბოლოჯერ’, როგორც თავად ამბობს. დროდადრო ის ქრება რამდენიმე დღით. ამბობენ, რომ მონაკოს პრინცი ხვდება თავის გულისსწორს, ალიცია ვარლიკს (24), ამერიკელ ჭოკით მხტომელს, რომელზეც დადის ჭორი რომ მისი მეუღლე გახდება. პრინცს [რაინერი], რომელიც ვეღარ იტანს მარტო დარჩენას, ძალიან გაუხარდა მისი უმცროსი ქალიშვილის ხილვა. სტეფანიმ დიდი დრო დაუთმო პრინცს. ის მასთან ერთად ხანგრძლივად სეირნობდა და ისინი ერთმანეთს მხარს უჭერდნენ. ‘რეინერი აფასებს მისი ქალიშვილის კომპანიას. როდესაც ის მასთან არის, [რეინერი] ყვავის. ამ დროს მას ავიწყდება რომ მოხუცი და ავადმყოფია’, ამბობენ მონაკოელები. ‘სტეფანი უფრო ხშირად უნდა ჩამოვიდეს’.”

იმავე გვერდზე გამოსახულია სტეფანისა და მისი მამის სურათი, რომელიც იმავე დღეს გამოქვეყნდა ჟურნალში *Frau im Spiegel*-ის #9/02-ში (იხილეთ მე-17 პარაგრაფი მაღლა), ასევე მისი სახის გამოსახულება და ორი სხვა ფოტო, პრინცი ალბერტის და მისივე ფოტო ალისია ვარლიკთან.

### C. განსახილველი საქმისწარმოება

#### 1. პირველი განმცხადებლის მიერ ინიცირებული საქმისწარმოება

##### (a) საქმისწარმოების პირველი ნაწილი

(i) რეგიონული სასამართლოს 2005 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება

21. 2004 წლის დაუკონკრეტებელ დღეს პირველმა განმცხადებელმა ჰამბურგის რეგიონულ სასამართლოში მოითხოვა Ehrlich & Sohn-ის საგამომცემლო კომპანიის მიერ აღნიშნული სამი ფოტოს შემდგომი გამოქვეყნების აკრძალვა.

22. რეგიონული სასამართლოს 2005 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით სასამართლომ გასცა აკრძალვის განკარგულება იმ საფუძველით, რომ პირველ განმცხადებელს თანხმობა არ განუცხადებია ამ ფოტოების გამოქვეყნებაზე, რაც საავტორო უფლებების შესახებ (ხელოვნებაზე საკუთრება) კანონის 22-ე მუხლის თანახმად აკრძალვის წინაპირობას წარმოადგენდა (შემდგომში „საავტორო უფლებების კანონი“ - იხილეთ 70-ე პარაგრაფი დაბლა). თუმცა სასამართლომ განაცხადა, რომ თუნდაც პირველი ფოტოს შემთხვევაში თანხმობა არ ჩათვლილიყო აუცილებლად, იმ საფუძველით რომ ეს იყო გამოსახულება თანამედროვე საზოგადოებიდან (*Bildnis aus dem Bereich der Zeitgeschichte*) იმავე კანონის 23.1.1 მუხლის მნიშვნელობით, ამ ფოტოს გამოქვეყნება არ იყო გამართლებული. იგივე მუხლის მე-2 ნაწილით ამგვარი გამოსახულების გამოქვეყნება კანონიერია თუ ამით არ ხდება ამ ფოტოზე გამოსახული ადამიანის ლეგიტიმურ ინტერესებში ჩარევა. სასამართლოს თანახმად, იმის დასადგენად არსებობდა თუ არა ლეგიტიმური ინტერესი, უნდა მოხდეს ფოტოზე აღბეჭდილი პირისა და საზოგადოების ინფორმირების ინტერესების შედარება ბალანსის გამოსარკვევად.

23. რეგიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეზე პირველი განმცხადებლის უფლება იყო დაეცვა მისი პირადი უფლება, რასაც უპირატესი ძალა გააჩნდა. ამ დასკვნის გამოტანისას რეგიონულმა სასამართლომ მრავალჯერ მიუთითა [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს საქმეზე *ვონ ჰანოვერი*. მან დაადგინა, რომ პირველი განმცხადებლის ურთიერთობა საკუთარ მამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ის ავად იყო, არ წარმოადგენდა საზოგადოებისთვის საჯარო ინტერესის მქონე დებატის საგანს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პირველი განმცხადებელი დაკავშირებული იყო საერთაშორისო პოლიტიკისთვის მინიმალური მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოს პრინცთან, და თანაც ოჯახური კავშირით და არ ახორციელებდა რაიმე საჯარო ფუნქციას.

24. რეგიონულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დასაბუთება სრულად არ შეესაბამებოდა ფედერალური საკონსტიტუციო

სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრინციპებს, რომლითაც ლეგიტიმური ინტერესის დადგენა არ ხდება, თუკი ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანი არ გაეცალა საჯარო თვალს, და ის არ იყო სავალდებულო პრეცედენტით, რადგანაც არ გაითვალისწინა ამ საკითხზე [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

(ii) სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება

25. საგამომცემლო კომპანიამ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება.

26. 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ჰამბურგის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე განმცხადებლის უფლება უნდა დაითმოს პრესის ძირითადი უფლებების სასარგებლოდ. მან დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტატიებს წმინდა გასართობი დანიშნულება ქონდა, ფოტოების გამოქვეყნება მაინც კანონიერი იყო ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების მნიშვნელობით, რომლის მთავარი დასაბუთება (*tragende Erwägungen*) სავალდებულო იყო სააპელაციო სასამართლოსთვის. მან აღნიშნა, რომ საჯარო პირები დიახაც უნდა იყვნენ დაცული ნებისმიერ დროსა და ადგილას ფოტოგადაღებისგან და ამ ფოტოების შემდგომი გამოქვეყნებისგან. თუმცა, სააპელაციო სასამართლოს აზრით, საავტორო უფლებების კანონის 23.2 მუხლის მნიშვნელობით ასეთი პირების ლეგიტიმური ინტერესის გამო არ უნდა აიკრძალოს ცნობილი ადამიანების არაოფიციალური საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება. ნებისმიერ შემთხვევაში პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება არ მოითხოვს ყველასათვის ხელმისაწვდომ საჯარო ადგილებში, სადაც კონკრეტული პირები სხვა ადამიანთა შორის იყვნენ, გადაღებული ფოტოების გამოქვეყნების აკრძალვას.

(iii) მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს 2007 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება

27. პირველმა განმცხადებელმა გაასაჩივრა ამ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლები.

28. 2007 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით (no. VI ZR 51/06) მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი სააპელაციო საჩივარი პირველ ფოტოსთან დაკავშირებით. რაც შეეხება მეორე და მესამე ფოტოს, მან

დააკმაყოფილა საჩივარი, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვა რეგიონული სასამართლოს მიერ დადგენილი აკრძალვა.

29. მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლოს პოზიცია არ შეესაბამებოდა ეტაპობრივ დაცვას (*abgestuftes Schutzkonzept*), რომელიც დამკვიდრდა პრეცედენტულ სამართალში საავტორო უფლებების შესახებ კანონის 22-ე და 23-ე მუხლების საფუძველზე და რომელიც მან დააზუსტა ვონ ჰანოვერის საქმეზე გადაწყვეტილების შემდეგ მიღებულ მთელ რიგ გადაწყვეტილებებში და [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს გადაწყვეტილებაში დადგენილი პრინციპის პასუხად. დაცვის ახალი კონცეფციის თანახმად, საავტორო უფლებების კანონის 23.1 მუხლი, რომელიც ადგენს გამონაკლისს წესიდან, რომლის თანახმად ფოტო ვერ გამოქვეყნდება შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე, ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესს, იყოს ინფორმირებული და პრესის თავისუფლებას. შესაბამისად, იმის შეფასებისას, იყო თუ არა სადავო გამოცემა თანამედროვე საზოგადოების ამსახველი საავტორო უფლების კანონის 23.1.1 მუხლის მნიშვნელობით, უნდა მოხდეს ერთის მხრივ ძირითადი კანონის [გერმანიის კონსტიტუციის] 1.1 და 2.1 მუხლებით და კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლებებს და მეორეს მხრივ ძირითადი კანონის 5.1 მუხლის პირველი წინადადებითა და კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლებებს შორის ბალანსის შეფასება.

30. მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ დასძინა, რომ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მიერ გამოთქმის „თანამედროვე საზოგადოების *par excellence* ფიგურა“ კრიტიკა მიმართულია იმ პირობების განსაზღვრისკენ, რომლებშიც მედია უფლებამოსილია ამგვარი პირების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას. მან მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, პირველი განმცხადებელი უნდა იქნეს თუ არა მიჩნეული თანამედროვე საზოგადოების *par excellence* ფიგურად, ის ნებისმიერ შემთხვევაში ცნობილი ადამიანია, რომელიც იზიდავს საზოგადოების ყურადღებას. სასამართლოს აზრით, ეს ფაქტი იმასთან ერთად, რომ ფოტოების გადაღებისას ის არ იყო საჯარო თვალისგან იზოლირებულ ადგილას, არ იყო საკმარისი მისი პირადი სივრცის დაცვის ჩამოსართმევად. ეს დასკვნა არათუ არ

იყო შესატყვისი [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს გადაწყვეტილების ჭრილში, არამედ ასევე ასახავდა შესაბამისად განვითარებული დაცვის კონცეფციის სათანადო გაგებას.

31. შესაბამისად, მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ იმ პირთა გამოსახულების გამოქვეყნება, რომელთაც თანამედროვე საზოგადოებაში მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით და საავტორო უფლებების შესახებ კანონის 23.1.1 მუხლის საფუძველზე თეორიულად მოეთხოვებათ მათი ფოტოების გამოქვეყნებისადმი შემწყნარებლობა, მაინც უკანონო იყო თუ ამ ადამიანის ლეგიტიმური ინტერესი შეილახა (23.2 მუხლი). [გადასაღები] პირისგან თანხმობის მიღების მოვალეობაზე არ შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პირის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ეხება თანამედროვე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან მოვლენას. ტერმინი „თანამედროვე საზოგადოება“ და ასევე ტერმინი „ინფორმაციული ღირებულება“ უნდა განიმარტოს ფართო გაგებით და იმის მიხედვით, არსებობდა თუ არა საჯარო ინტერესი. ის მოიცავს საზოგადოებისთვის საჯარო ინტერესის მქონე ნებისმიერ საკითხს და ასევე ინფორმაციის მიწოდებას გართობის მიზნით, რასაც გარკვეული როლი აქვს აზრის ჩამოყალიბებაში, ან ამის უფრო მეტად სტიმულირებას ან წახალისებას ახდენს ვიდრე მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაცია.

32. მაშინ როცა პრესის თავისუფლებითა და ცენზურის აკრძალვით პრესას მოეთხოვება, თავად შეძლოს იმის გადაწყვეტა რის შესახებ სურს ინფორმაციის მომზადება და რის გამოქვეყნება სურს, პრესა არ თავისუფლდება ვალდებულებისგან შეაფასოს თავისი ინფორმაციის გამოქვეყნების საკუთარი ინტერესი შესაბამისი პირის პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესთან მიმართებით. რაც უფრო მაღალია საზოგადოებისთვის ინფორმაციული ღირებულება, მით უფრო უნდა მოხდეს დაცვის უფლების დათმობა. საპირისპიროდ ამისა, როდესაც საზოგადოების ინფორმირების ინტერესი იკლებს, შესაბამისი პირის დაცვის მნიშვნელოვნება შესაბამისად მეტ წონას იძენს. მკითხველთა ინტერესი გაერთონ ზოგადად ნაკლები ღირებულების მატარებელია ვიდრე პირადი ცხოვრების დაცვა და ამ შემთხვევაში მკითხველთა ინტერესი არ იმსახურებს დაცვას.

33. მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ განაცხადა, რომ შესაბამისად, თუ საქმე ეხება პირებს, რომლებიც მიჩნეულ იქნენ თანამედროვე საზოგადოების წარმომადგენლებად, მხედველობაში მიიღება საკითხი, ინფორმაციის გავრცელებამ ხელი შეუწყო თუ არა ფაქტობრივ დებატს (*mit Sachgehalt*) და მისი შინაარსი გასცდა თუ არა საზოგადოების მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების განზრახვას. ამის განსაზღვრისას არაფერი აბრკოლებს იმის შეფასებას რამდენად ცნობილი იყო ეს პირი საზოგადოებისთვის.

34. მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ ინტერესთან შორის ბალანსის შეფასების ეს ხერხი შეესაბამება [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მოთხოვნებს პირადი სფეროს ეფექტიან დაცვასთან მიმართებით, პრესის თავისუფლების მოთხოვნებს და წინააღმდეგობაში არ მოდის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების სავალდებულოობასთან. შესაბამისად ამ სასამართლომ შეზღუდა არასასურველი ფოტოების გამოქვეყნებისგან პირადი სფეროს დასაშვები დაცვა სივრცითი განცალკევების შემთხვევებში. თუმცა ამან სხვადასხვა ინტერესთან შორის ბალანსის შეფასებისას სასამართლოები არ შეზღუდა იმისგან, რომ მეტი წონა მიენიჭებინა საზოგადოებისთვის განკუთვნილი ინფორმაციისთვის. უფრო მეტიც, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ [ბოლოს] აღიარა მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს მიერ ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მეორე განმცხადებელთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში (2006 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, no. 1 BvR 565/06) ასახული ბალანსის შეფასება.

35. მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ დააკონკრეტა, რომ ბალანსის შეფასებისას გადამწყვეტ კრიტერიუმს წარმოადგენდა სადაო ფოტოს ინფორმაციული ღირებულება და რადგანაც ის სტატიასთან ერთად გამოქვეყნდა, ფოტოსთან ერთად არსებული ტექსტის იგნორირება არ შეიძლებოდა.

36. მის წინაშე წარდგენილ საქმესთან მიმართებით დადგენილი კრიტერიუმის გამოყენებისას მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ მეორე და მესამე ფოტოებით დაიწყო რა, დაადგინა რომ მეორე ფოტოზე განმცხადებელი გამოსახული იყო სენტ-

მორიცის დატვირთულ ქუჩაში, მათი სათხილამურო დასვენებისას. მაშინ როცა პრესას შეეძლო პრინციპულად საკუთარი გადაწყვეტილება მიეღო გამოცემის შინაარსთან მიმართებით და განმცხადებლებიც მართლაც სხვა ადამიანებთან ერთად საჯარო ადგილას იყვნენ, არც სტატია და არც ფოტო იყო დაკავშირებული ზოგად ინტერესთან და თანამედროვე საზოგადოებასთან. ცნობილი ადამიანის დასვენება მისი პირადი სფეროს ძირითადი ნაწილია (*Kernbereich*). სტატიისა და ფოტოს გამოქვეყნება მხოლოდ გართობის მიზანს ემსახურებოდა და არანაირად არ იყო საჯარო ინტერესის სფეროსთან დაკავშირებული, შესაბამისად მხოლოდ განმცხადებლის თანხმობით უნდა განხორციელებულიყო.

37. მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მესამე ფოტოზე გამოსახული იყვნენ „ზურში“ საბაგიროზე მყოფი განმცხადებლები მათი სათხილამურო დასვენებისას. მიუხედავად იმისა, რომ მონაკოში ვარდების წვეულება ახლოვდებოდა, რასაც ეხებოდა სტატია და თანდართული ფოტო, და ეს შესაძლოა მიჩნეულიყო თანამედროვე საზოგადოების მოვლენად, რაც საზოგადოების ზოგადი ინტერესის საგანს წარმოადგენდა, არ არსებობდა კავშირი ფოტოსა და წვეულებას შორის. ფოტოს მიზანი იყო შეეცხო სტატიის ნაწილი სენტ-მორიცში მეორე განმცხადებლის დაბადების დღის აღნიშვნასთან და ზურში განმცხადებლების სათხილამურო დასვენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად ინფორმაცია ექსკლუზიურად უკავშირდებოდა განმცხადებლის პირად ცხოვრებას და ემსახურებოდა გართობის მიზანს. შესაბამისად, მესამე ფოტოს გამოქვეყნებაც არ შეიძლებოდა პირველი განმცხადებლის თანხმობის გარეშე.

38. რაც შეეხება პირველ ფოტოს, მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის არ შეიცავდა ინფორმაციას თანამედროვე საზოგადოების შესახებ და არც წვლილი შეჰქონდა საზოგადო ინტერესის მქონე დებატში, იგივე არ ეხებოდა თანდართულ ტექსტს. შესაბამისად, პირველი განმცხადებლის სათხილამურო დასვენების შესახებ ნაწილი არ ეხებოდა თანამედროვე საზოგადოების მოვლენას ან საზოგადო ინტერესის საგანს, ამ ტერმინების ფართოდ განმარტების შემთხვევაშიც კი. თუმცა, პრინციპის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

“ინფორმაცია ასევე ეხებოდა ავადმყოფ მონაკოს პრინცს. მისი ავადმყოფობა წარმოადგენდა თანამედროვე საზოგადოებრივ მოვლენას, რომელზე ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდებაზე უფლებამოსილი იყო პრესა. ჟურნალისტიკის ხარისხი და სტატიის შინაარსი არ არის გადამწყვეტი, ვინაიდან პრესის თავისუფლების პრინციპი არ უშვებს ძირითადი უფლების მოქმედების დამოკიდებულებას პრესის გავრცელების ხარისხზე ან იმაზე თუ როგორ არის შედგენილი სტატია. ეს ასევე ეხება პრინცის ავადმყოფობის პერიოდში ოჯახის წევრების ქცევასთან დაკავშირებით სტატიაში მოცემულ კომენტარებს და უფრო მეტიც, განმცხადებელი არ დაობს სტატიის ამ ნაწილთან დაკავშირებით. სადაო ფოტო გადმოცემულ ინფორმაციას ამყარებს და ახდენს ილუსტრირებას.“

39. მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლო ასკვნის, რომ ამ გარემოებებში და ერთიანობაში გადმოცემული ინფორმაციის კონტექსტის გათვალისწინებით, პირველ განმცხადებელს არ გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, რომელიც განმცხადებლების ქუჩაში გადაღებული ფოტოს გამოქვეყნების საპირწონედ გამოდგება. კერძოდ კი არ არსებობს ფოტოსთან მიმართებით რაიმე, რაც დარღვევას წარმოადგენდა (*eigenständiger Verletzungseffekt*) და გაამართლებდა განსხვავებულ დასკვნას; არც რაიმე გარემოება არსებობდა, რაც მიუთითებდა, რომ ფოტო ძალულად გადაიღეს ან რაიმე საიდუმლო ტექნიკური საშუალებით, რაც მის გამოქვეყნებას უკანონოდ აქცევდა.

(iv) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება

40. 2008 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა განყოფილებამ (*Senat*) არ დააკმაყოფილა საკონსტიტუციო საჩივარები, რომლებიც წარადგინეს პირველმა განმცხადებელმა (no. 1 BvR 1626/07) და საგამომცემლო კომპანიამ Ehrlich & Sohn GmbH & Co. KG (no. 1 BvR 1602/07) მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების (no. VI ZR 51/06) წინააღმდეგ.

იმავე გადაწყვეტილებით (no. 1 BvR 1606/07) მან მიიღო საგამომცემლო კომპანია Klambt-Verlag GmbH & Co.-ს საკონსტიტუციო საჩივარი აკრძალვის წინააღმდეგ, რომელიც მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა (2007 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება, no. VI ZR 52/06) ჟურნალ *7 Tage*-ში გამოქვეყნებული ფოტოს შემდგომ გამოქვეყნებაზე. ფოტოზე გამოსახული იყო დასასვენებლად მყოფი განმცხადებელი დაუდგენელ ადგილას. ფოტოს ერთვოდა ინფორმაცია კენიაში ვონ

ჰანოვერების ოჯახის საკუთრებაში არსებული სააგარაკო ვილის გაქირავების შესაძლებლობის შესახებ. ეს სამართალწარმოება პირველი განმცხადებლის მიერ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოსთვის წარდგენილი სხვა განაცხადის საგანია (no. 8772/10).

41. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი: პირველი, სასამართლოს გადაწყვეტილებები წარმოადგენდა პირველი განმცხადებლის ძირითადი კანონის [გერმანიის კონსტიტუციის] 1.1 და 2.1 მუხლებით დაცული პიროვნული უფლებების დაცვის უფლებაში ჩარევას. თუმცა ამ უფლების დასაშვებ დაცვაზე და პრესის თავისუფლებაზე არსებობდა შეზღუდვები. პრესის თავისუფლება ექვემდებარებოდა საავტორო უფლებების შესახებ კანონის 22.2 მუხლსა და კონვენციის მე-8 მუხლში ჩამოთვლილ შეზღუდვებს; ხოლო საავტორო უფლებების შესახებ კანონის ნორმები და კონვენციის მე-10 მუხლი ზღუდავდა პიროვნულობის უფლებების დაცვის უფლებას. გერმანულ სამართლებრივ სისტემაში კონვენციას ქონდა მიმდინარე ფედერალური კანონის სტატუსი. საკონსტიტუციო სამართლის დონეზე კონვენციითა და [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები სახელმძღვანელოს წარმოადგენს ძირითადი უფლებების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრისას.

42. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გაიმეორა [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებთან მიმართებით და საკუთარი პრეცედენტული სამართალი განსახილველი ძირითადი უფლებების შესახებ, მიუთითა რა 1999 წლის 15 დეკემბრის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში (*Von Hannover*, ციტირება მაღლა, § 25) ასახულ პრინციპებზე. მან ასევე დასძინა, რომ ვინაიდან თავად გამოსახულებას არანაირი წვლილი არ შეუტანია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, მისი ინფორმაციული ღირებულება უნდა შეფასდეს თანდართული სტატიის კონტექსტში. თუმცა, თუკი სტატია მხოლოდ ქვეტექსტს წარმოადგენდა ცნობილი ადამიანის ფოტოს გამოქვეყნებისთვის, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში არანაირი წვლილი არ შეუტანია და შესაბამისად, არ არსებობდა რაიმე საფუძველი რომ

პუბლიკაციის გამოქვეყნების ინტერესს უპირატესი ძალა მინიჭებოდა პიროვნული უფლებების დაცვასთან მიმართებით.

43. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განაცხადო, რომ პიროვნული უფლებების დაცვის ღირებულების განსაზღვრისას მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა მხოლოდ ფოტოს გადაღების გარემოებებს, მაგალითად, გადაღებულია თუ არა ძალულად, ან ფოტოგრაფების მიერ განუწყვეტელი დევნის შედეგად, არამედ ასევე იმ ვითარებას, რომელშიც პირს ფოტო გადაუღეს და როგორ იყო ის გამოსახული. პიროვნული უფლებების დაცვის უფლებას მეტი ღირებულება აქვს თუკი ფოტოზე გამოსახულია შესაბამისი პირის პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალები, რაც როგორც წესი არ არის საჯარო განხილვის საგანი. იგივე წესი მოქმედებს, თუ გარემოებების გათვალისწინებით შესაბამისი პირს შეიძლება ქონდეს ლეგიტიმური მოლოდინი, რომ არანაირი ფოტო არ გამოქვეყნდება, რადგანაც ის პირად ადგილას (*räumliche Privatheit*) იმყოფებოდა, როგორც არის საგანგებოდ დაცული ადგილი. პიროვნული უფლებების დაცვის უფლებას შესაძლოა უპირატესი ძალა გააჩნდეს გამოქვეყნების ინტერესზე ასევე იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ადგილი ქონდა სივრცით იზოლაციას, განსაკუთრებით, როცა პირი დააფიქსირეს დასვენების და განტვირთვის მომენტში, პროფესიული და ყოველდღიური სტრესისგან გათავისუფლებისას.

44. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ფაქტების წარმოდგენისა და მტკიცების ტვირთის პროცედურული ვალდებულებების გადანაწილებას. უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ არც პრესას და არც პირს, რომელსაც ფოტო გადაუღეს, არ ეზღუდება კონკურენტული ინტერესების დაბალანსებისთვის მნიშვნელოვონ გარემოებათა მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა. როდესაც პრესა განიზრახავს გამოაქვეყნოს ფოტო შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე, მას შესაძლოა მოეთხოვოს, დაასაბუთოს ფოტოს გადაღების გარემოებები, რათა ამით სასამართლოს საშუალება მიეცეს, შეაფასოს, შესაძლებელია თუ არა ფოტოს გამოქვეყნება სადავო გახდეს ამ ადამიანის ლეგიტიმური მოლოდინის საფუძვლით.

45. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო სასამართლოების ამოცანა იყო სამოქალაქო სამართლის ნორმები განემარტათ და შეეფარდებინათ კონვენციით

დაცული ძირითადი უფლებების ჭრილში. მან დასძინა, რომ მისი როლი შეზღუდული იყო იმის შესწავლისას, დაბალი ინსტანციის სასამართლოებმა საკმარისად გაითვალისწინეს თუ არა ძირითადი უფლებები კანონის შეფარდებისა და ინტერპრეტაციისას და კონკურენტული უფლებების დაბალანსებისას. ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის შესწავლის ფარგლებში ექცეოდა იმის გამორკვევა, სასამართლოებმა შეასრულეს თუ არა [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში (*Teilrechtsordnung*) შერწყმის ვალდებულება. ის ფაქტი, რომ სასამართლოს მიერ მრავალპოლარული - მრავალი ადამიანის ინტერესს შორის - და კომპლექსური დავების დროს სხვადასხვა უფლებით სარგებლობის დამაბალანსებელი შეფასების შედეგად შეიძლება განსხვავებული შედეგი მივიღოთ, არ არის საკმარისი არგუმენტი იმისთვის რომ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ეთხოვოს სასამართლო გადაწყვეტილების შესწორება. თუმცა, კონსტიტუციის დარღვევა იქნება თუ ძირითადი უფლების სადამცველო ფარგლები (*Schutzbereich*) ან მოქმედების ფარგლები არასწორად განისაზღვრა და შესაბამისად ბალანსიც დაირღვა, თუ საკონსტიტუციო სამართლიდან ან კონვენციიდან მომდინარე მოთხოვნები არ იქნა სათანადოდ გათვალისწინებული.

46. მისთვის წარდგენილ საქმეზე ამ პრინციპების შეფარდებით ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს [პოზიციაც] და მის მიერ დადგენილი კრიტერიუმიც კონსტიტუციურად დავას არ ექვემდებარებოდა. მან მიიჩნია, რომ საკონსტიტუციო სამართლის პერსპექტივიდან მართლმსაჯულების ფედერალურ სასამართლოს არაფერი უშლიდა ხელს შეეცვალა მისი მანამდე დამკვიდრებული პრეცედენტული სამართალი ამ სფეროში და დაცვის ახალი კონცეფცია განეფიქრებია. ის ფაქტი, რომ მას თავის 1999 წლის 15 დეკემბრის საბოლოო გადაწყვეტილებაში სადავოდ არ გაუხდია მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს მიერ მანამდე დადგენილი დაცვის კონცეფცია, გულისხმობდა იმას, რომ ეს საკონსტიტუციო სამართლის კრიტერიუმთან შესაბამისობაში იყო. ეს არ გულისხმობდა, რომ განსხვავებული კონცეფცია არ აკმაყოფილებდა ამ კრიტერიუმს. მართლმსაჯულების ფედერალურ სასამართლოს არ ეკრძალებოდა „თანამედროვე

საზოგადოების წარმომადგენლის“ კონცეფციის განვრცობა და კონკურენტული ინტერესების დაბალანსება საკითხის კვლევისას, ფოტო წარმომადგენდა თუ არა თანამედროვე საზოგადოების ასპექტს და შეიძლება თუ არა მისი გამოქვეყნება შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამით ხდებოდა ამ პირის ლეგიტიმურ ინტერესში ჩარევა).

47. სადაო ფოტოებთან მიმართებით დამკვიდრებული კრიტერიუმის გამოყენება, კერძოდ კი მეორე და მესამე ფოტოსთან მიმართებით, რომელთა გამოქვეყნებაზეც აკრძალვის ბრძანება გასცეს სასამართლოებმა და ეს ბრძანება გაასაჩივრა საგამომცემლო კომპანიამ Ehrlich & Sohn (იხილეთ მე-40-ე პარაგრაფი მაღლა), ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მეორე ფოტოზე განმცხადებელი გამოსახულია საჯარო ადგილას, არც იზოლირებულ და არც საზოგადოებისგან მოფარებულ ადგილას. თუმცა მან უპირატესობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ სტატია ეხებოდა მხოლოდ განმცხადებლის სათხილამურო დასვენებას, რაც განმცხადებლის პირადი ცხოვრების ძირითად ნაწილს ეხება და განმცხადებლის საჭიროებას მშვიდობასა და სიმშვიდეზე, და შესაბამისად საჯარო ინტერესის არ არსებობაზე, გარდა საზოგადოების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისა. საგამომცემლო კომპანიის წერილობით შეპასუხების საპირისპიროდ, მკითხველის ინტერესი განმცხადებლის მოდურ სათხილამურო ტანსაცმელში არ უტოლდებოდა საჯარო ინტერესს. უფრო მეტიც, ეს ასპექტი არ იყო ნახსენები სტატიაში.

48. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, იგივე დასკვნა უნდა გაკეთდეს მესამე ფოტოსთან მიმართებით, რომლის გამოქვეყნებაც პირველმა განმცხადებელმა გაასაჩივრა. არც პირველი განმცხადებლისა და მისი მეუღლის სენტ-მორიცში ამ უკანასკნელის დაბადების დღის აღსანიშნავად მოგზაურობის შესახებ სტატიასთან და არც მათ ფოტოსთან მიმართებით, რომელზეც ისინი საბაგიროზე არიან არ არსებობდა საჯარო ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში ასევე ნახსენები იყო ვარდების წვეულება - ღონისძიება, რომელიც მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს განმარტების თანახმად შეიძლება მიჩნეულიყო თანამედროვე საზოგადოების ასპექტად - ამ ღონისძიებასა და ფოტოს შორის კავშირის არ იყო.

49. რაც შეეხება პირველ ფოტოს, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მართლმსაჯულების ფედერალურ სასამართლოს ვალიდური არგუმენტები ქონდა იმის თაობაზე, რომ მონაკოს მმართველი პრინცის ავადმყოფობა საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენდა და შესაბამისად პრესაც უფლებამოსილი იყო ინფორმაცია გაეცვრელებინა ამის თაობაზე იმ ფორმით, რომ ეჩვენებია შვილების მიერ ოჯახური სოლიდარობიდან გამომდინარე ვალდებულებები მათი პირადი ცხოვრების ლეგიტიმურ საჭიროებებთან თანხვედრაში მოყვანა, პირადი ცხოვრების ნაწილს კი განეკუთვნებოდა არდადეგებზე წასვლის სურვილი. მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს დასკვნა, რომლის თანახმადაც გამოქვეყნებული ფოტო საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული სტატიაში აღწერილ მოვლენასთან, კონსტიტუციურად სადაო არ იყო.

50. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ მიუთითა პიროვნული უფლებების დაცვის უპირატესობაზე იმ შემთხვევაში როცა სადაო ფოტო გადაღებულია ამ პირისთვის განსაკუთრებით არასასურველ პირობებში, მაგალითად როდესაც გადაღება მალულად მოხდა ან ფოტოგრაფების მხრიდან მუდმივი დევნის შედეგად. თუმცა, საგამომცემლო კომპანიამ გაამხილა ფოტოს გადაღების დეტალები და პირველ განმცხადებელს სამოქალაქო სასამართლოების თუ მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს წინაშე სადაოდ არ გაუხდია რომ ეს დეტალები არ იყო საკმარისი. კერძოდ კი, ის არ აცხადებდა რომ ფოტო გადაიღეს მისთვის არასასურველ ვითარებაში.

51. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა პირველი განმცხადებლის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ არ გაითვალისწინა, ან არასათანადოდ გაითვალისწინა [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. აღნიშნა რა, რომ ამ სახის საჩივარი შეიძლება წარდგენილიყო საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით, თუკი ის დაეფუძნებოდა ძირითადი კანონით (კონსტიტუციით) გარანტირებულ ძირითად უფლებებს, მან დაადგინა, რომ მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ გაითვალისწინა საქმეებზე *ვონ ჰანოვერი (Von Hannover)* და *კარხუვარა* და

ილტალეჰტი (*Karhuvaara and Iltalehti*) (no. 53678/00, ECHR 2004-X) მიღებული გადაწყვეტილებები და დააკმაყოფილა კონვენციით დადგენილი კრიტერიუმი. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართალი და დაადგინა, რომ კონკურენტული უფლებების დაბალანსებისას [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს გადამწყვეტი კრიტერიუმი იყო საკითხი, სრულად გავრცელებულ ინფორმაციას (სტატია და ფოტო) შეჰქონდა თუ არა წვლილი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. უფრო მეტიც, უნდა მომხდარიყო გამიჯვნა პოლიტიკურ ფიგურას, საჯარო ფიგურასა და ჩვეულებრივ ადამიანს შორის. მაშინ როცა ეს უკანასკნელი ამ სამ ჯგუფში ყველაზე მაღალი დაცვით სარგებლობს, პოლიტიკური ფიგურა შეიძლება მოელოდეს მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებასთან მიმართებით მხოლოდ მცირე ხარისხის დაცვას.

52. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით (*გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ* (*Gurgenidze v. Georgia*), no. 71678/01, § 57, 17 October 2006 წლის 17 ოქტომბერი, და *სიაკა იტალიის წინააღმდეგ* (*Sciacca v. Italy*), no. 50774/99, § 27, ECHR 2005-I) პირველი განმცხადებელი საჯარო ფიგურა იყო, რაც პრესას უფლებამოსილს ხდიდა - როდესაც საზოგადოების ინფორმირების ინტერესი არსებობდა - გამოექვეყნებინა ამ პირის ყოველდღიური საქმიანობის ამსახველი ფოტოები. ამ ტიპის პუბლიკაცია, რომელზეც კონვენციის მე-10 მუხლის დაცვა ვრცელდება, შეიძლება ემსახუროდეს ეკონომიკურ, კულტურულ ან მედია სფეროში გავლენიანი ადამიანების პირად ქცევაზე საჯარო კონტროლს. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ გააკრიტიკა ეროვნული სასამართლოების მიდგომა, რომლითაც გადამეტებულად შემზღუდავი კრიტერიუმის გამოყენება ხდება იმ საკითხთან მიმართებით, მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენდა თუ არა საჯარო ინტერესის საგანს, როდესაც ისინი წერდნენ იმ პირის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, რომელიც არ იყო პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი (*ტოლბერგს ბლად A.S. და ჰაუკომ ნორვეგიის წინააღმდეგ* (*Tønsbergs Blad A.S. and Haukom v. Norway*), no. 510/04, § 87, ECHR 2007-III). საკმარისი იყო იმის დადგენა, რომ გავრცელებული ინფორმაცია რაღაც ხარისხით

მაინც ეხებოდა პოლიტიკასთან ან სხვა სფეროსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვონ საკითხს (*კარხუვაარი და ილტალეჰტი ფინეთის წინააღმდეგ (Karhuvaara and Iltalehti v. Finland)*, ციტირება მაღლა, § 45).

53. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ წინამდებარე საქმეზე დაადგინა, რომ [მედიის მიერ] სადაო ინფორმაციის გავრცელება ეხებოდა დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვონ საკითხებს. *ვონ ჰანოვერის* საქმეზე თავის გადაწყვეტილებაში [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ კატეგორიულად არ გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხზე დებატში წვლილის შემტანი ინფორმაციის გავრცელება შეიძლება ილუსტრირებული ყოფილიყო ფოტოებით, რომლებიც ასახავდა პოლიტიკური ან საჯარო ფიგურების ყოველდღიურ ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე *ვონ ჰანოვერი* [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ დაასკვნა, რომ სადაო ფოტოები არ წარმოადგენდა ინფორმაციულ ღირებულებას, მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს მიერ მისთვის წარდგენილი საქმის გარემოებებისა და [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ სადაო ფოტოს ინფორმაციული ღირებულება გააჩნდა, საკონსტიტუციო დავის საგანს არ წარმოადგენდა.

#### (b) საქმისწარმოების მეორე ნაწილი

54. დაუზუსტებელ დღეს პირველმა განმცხადებელმა ჰამბურგის რეგიონულ სასამართლოს მიმართა ჟურნალ *Frau Aktuell*-ში (2002 წლის 20 თებერვლის #9/20) გამოქვეყნებული ფოტოს შემდგომი გამოქვეყნების აკრძალვის მოთხოვნით.

55. 2005 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით რეგიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა.

56. 2005 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჰამბურგის სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო საგამომცემლო კომპანიის საჩივარი და გააუქმა რეგიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

57. 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით (no. VI ZR 14/06) მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა პირველი განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი,

იმავე საფუძვლით, რაც იმავე დღეს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ასახა (no. VI ZR 51/06 – იხილეთ 28-39 პარაგრაფები მაღლა). მან განაცხადა, რომ პირველ განმცხადებელს მის წინაშე სადაოდ არ გაუხდია (და არც რაიმე გარემოება მიუთითებდა ამაზე), რომ ფოტო გადაიღეს მალულად ან ექვივალენტური საიდუმლო ტექნიკის გამოყენებით, რაც გამოქვეყნებას უკანონოს გახდიდა.

58. 2008 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით (no. 1 BvR 1625/07) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პანელმა სამი მოსამართლის შემადგენლობით არ დააკმაყოფილა პირველი განმცხადებლის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი, ისე რამდესაბუთება არ წარმოუდგენია.

## 2. მეორე განმცხადებლის მიერ ინიცირებული საქმისწარმოება

### (a) საქმისწარმოების პირველი ნაწილი

59. 2004 წლის 30 ნოემბერს მეორე განმცხადებელმა ჰამბურგის რეგიონულ სასამართლოს მიმართა და მოითხოვა საგამომცემლო კომპანია Ehrlich & Sohn GmbH & Co. KG-ის მიერ ჟურნალ *Frau im Spiegel*-ში გამოქვეყნებული სამი ფოტოს შემდგომი გამოქვეყნება.

60. 2005 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილების რეგიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა აკრძალვის მოთხოვნა.

61. 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ჰამბურგის სააპელაციო სასამართლომ საგამომცემლო კომპანიის სააპელაციო საჩივარი მიიღო.

62. 2007 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით (no. VI ZR 50/06) მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მეორე განმცხადებლის მიერ პირველ ფოტოსთან დაკავშირებით წარდგენილი სააპელაციო საჩივარი სამართლებრივ ნაწილში. რაც შეეხება მეორე და მესამე ფოტოს, სააპელაციო საჩივარი დასაშვებად ცნო, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და აღადგინა რეგიონული სასამართლოს მიერ დადგენილი აკრძალვა. მან თავისი დასკვნები დააფუძნა იმავე არგუმენტებს, რაც იმავე დღის გადაწყვეტილებაში no. VI ZR 51/06 იყო მოცემული (იხილეთ 28-39 პარაგრაფი მაღლა). რაც შეეხება მეორე განმცხადებლის მაღალ ცნობადობას, მან გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ის საზოგადოებისთვის კარგად იყო ცნობილი, კერძოდ კი როგორც

პირველი განმცხადებლის მეუღლე, რომელიც თავის მხრივ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო.

63. 2008 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით (no.1 BvR 1624/07) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს სამი მოსამართლისგან შემდგარმა პანელმა არ დააკმაყოფილა მეორე განმცხადებლის მიერ წარდგენილი საკონსტიტუციო საჩივარი, დასაბუთების წარმოდგენის გარეშე.

**(b) საქმისწარმოების მეორე ნაწილი**

64. 2004 წლის 29 ნოემბერს მეორე განმცხადებელმა ჰამბურგის რეგიონულ სასამართლოს მიმართა და საგამომცემლო კომპანია WZV Westdeutsche Zeitschriftenverlag GmbH & Co KG-ისგან მოითხოვა ჟურნალ *Frau Aktuell*-ში გამოქვეყნებული ფოტოს შემდგომი გამოქვეყნების აკრძალვა.

65. 2005 წლის 24 ივნისს რეგიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა აკრძალვის მოთხოვნა.

66. ჰამბურგის სააპელაციო სასამართლომ 2005 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიიღო საგამომცემლო კომპანიის სააპელაციო საჩივარი.

67. 2007 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით (no. VI ZR 13/06) მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მეორე განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი სამართლებრივ ნაწილში, იმავე საფუძვლებით, რაც მან იმავე დღეს გამოტანილ გადაწყვეტილებაში მიუთითა (no. VI ZR 14/06 – იხილეთ 57-ე პარაგრაფი მაღლა).

68. 2008 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით (no. 1 BvR 1622/07) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს სამი მოსამართლისგან შემდგარმა პანელმა არ დააკმაყოფილა მეორე განმცხადებლის მიერ წარდგენილი საკონსტიტუციო საჩივარი, დასაბუთების წარმოდგენის გარეშე.

## II. შესაბამისი ეროვნული და ევროპული კანონმდებლობა

### A. ძირითადი კანონი (კონსტიტუცია)

69. ძირითადი კანონის შესაბამისი ნორმებით დადგენილია შემდეგი:

#### მუხლი 1 § 1

“ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. ყველა საჯარო ორგანო ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ის.”

#### მუხლი 2 § 1

“ყველას აქვს უფლება თავისუფლად განავითაროს საკუთარი პიროვნება, ისე რომ ამით არ მოხდეს სხვის უფლებებში ჩარევა ან დაირღვეს კონსტიტუციური წესრიგი ან ზნეობრივი სამართალი [Sittengesetz].”

#### მუხლი 5 §§ 1 და 2

“1. ყველას აქვს უფლება ზეპირი ფორმით, წერილობით და დასურათებით თავისუფლად გამოხატოს და გაავრცელოს თავისი მოსაზრებები და თავისუფლად მოიპოვოს ინფორმაცია საზოგადოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. პრესის თავისუფლება და რადიოს, ტელევიზიისა და კინოს მეშვეობით ინფორმაციის თავისუფლად გავრცელება გარანტირებულია. დაუშვებელია ცენზურა.

ეს უფლებები შეიძლება დაექვემდებაროს ახალგაზრდების დაცვისა და პირადი ღირსების დაცვის ვალდებულების [Recht der persönlichen Ehre] უზრუნველსაყოფად ზოგადი კანონმდებლობის ნორმებში და კანონის ნორმებში ასახული შეზღუდვებს.”

### B. საავტორო უფლებების (ხელოვნებაზე საკუთრება) შესახებ კანონი The Copyright (Arts Domain) Act

70. საავტორო უფლებების შესახებ (ხელოვნებაზე საკუთრების) კანონის 22.1 მუხლი (*Gesetz betreffend das Urheberrecht an Werken der bildenden Künste und der Photographie*) ადგენს, რომ გამოსახულებები შეიძლება გავრცელდეს შესაბამისი პირის აშკარად გამოხატული თანხმობის საფუძველზე. კანონის 23.1.1 მუხლით დადგენილია გამონაკლისი ამ წესიდან, იმ შემთხვევებისთვის, როდესაც

გამოსახულება ასახავს თანამედროვე საზოგადოების ასპექტებს (*Bildnisse aus dem Bereich der Zeitgeschichte*) იმ პირობით რომ გამოქვეყნებით არ ხდება შესაბამისი პირების ლეგიტიმური ინტერესი (*berechtigtes Interesse*) (მუხლი 23.2).

### C. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1165 (1998)

71. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ 1998 წლის 26 ივნისს მიღებული ამ რეზოლუციის შესაბამისი ამონარიდები:

“1. ასამბლეა მოიხმობს 1997 წლის სექტემბერში სესიაზე გამართულ დებატს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით, იმ უბედური შემთხვევიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, რომლის შედეგადაც უელსის პრინცესა დაიღუპა.

2. ამ დებატებისას ზოგიერთები ითხოვდნენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას, კერძოდ კი საჯარო ფიგურების, და ამის აღსრულებას ევროპულ დონეზე კონვენციის საშუალებით; სხვები კი თვლიდნენ რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საკმარისად იყო დაცული ეროვნული კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და რომ გამოხატვის თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს.

3. ამ საკითხის უფრო ღრმად შესასწავლად სამართლებრივ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაგეგმა მოსმენა პარიზში 1997 წლის 16 დეკემბრისთვის საჯარო ფიგურების ან მათი წარმომადგენლების და მედიის მონაწილეობით.

4. ასამბლემ ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უკვე ასახა თავის რეზოლუციაში 428 (1970) ასახულ დეკლარაციაში მასობრივი კომუნიკაციის მედიისა და ადამიანის უფლებების შესახებ როგორც ‘უფლება იცხოვრო მინიმალური ჩარევით’.

5. ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გათვალისწინებით, რომლებითაც შესაძლებელია პირადი მონაცემების შენახვა და გამოყენება, უფლება საკუთარ თავზე არსებული ინფორმაციის კონტროლის შესახებ უნდა დაემატოს ამ დეფინიციას.

6. ასამბლეისთვის ცნობილია, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ხშირად ილახება, იმ ქვეყნებშიც კი სადაც არსებობს ამ უფლების დამცავი სპეციალური კანონმდებლობა, რადგანაც ადამიანთა პირადი ცხოვრება მედიის გარკვეული ნაწილისთვის მეტად მომგებიანი ვაჭრობის საგანი გახდა. მსხვერპლნი ძირითადად არიან საჯარო ფიგურები, ვინაიდან მათი

პირადი ცხოვრების დეტალები გაყიდვების სტიმულირებას ახდენს. ამავდროულად, საჯარო ფიგურებმა უნდა აღიარონ რომ მათი გამორჩეული საზოგადოებრივი მდგომარეობა - რაც ხშირ შემთხვევაში მათ არჩევანია - ავტომატურად ითვალისწინებს მათ პირად ცხოვრებაზე მაღალ ზეწოლას.

7. საჯარო ფიგურები არიან ადამიანები, რომელთაც აქვთ საჯარო თანამდებობა და/ან იყენებენ საჯარო რესურსებს და უფრო ფართოდ თუ განვმარტავთ, გარკვეულ როლს ასრულებენ საჯარო ცხოვრებაში, იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, ხელოვნება, სოციალური სფერო, სპორტი თუ ნებისმიერი სხვა სფერო.

8. მედიის მიერ ადამიანების პირად ცხოვრებაში შეჭრა ხშირად ხორციელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების ცალმხრივი იტერპრეტაციის სახელით, ამტკიცებენ რა რომ მათი მკითხველები უფლებამოსილი არიან საჯარო ფიგურების შესახებ იცოდნენ ყველაფერი.

9. საჯარო ფიგურების, კერძოდ კი პოლიტიკოსების პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტები შესაძლოა საინტერესო იყოს მოქალაქეებისთვის და შესაბამისად ამ ფაქტების შესახებ ინფორმირებულობა ლეგიტიმური იყოს მკითხველებისთვის, რომლებიც ასევე ამომრჩევლები არიან.

10. შესაბამისად აუცილებელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული ორი ძირითადი უფლების დაბალანსების გზა გამოიძებნოს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე უფლებისა.

11. ასამბლეამ კვლავ ადასტურებს თითოეული ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების მნიშვნელობა, როგორც დემოკრატიული საზოგადოების საძირკველისა. ეს უფლებები არც აბსოლუტურია და არც რაიმე იერარქიულ მიმდევრობაშია, ვინაიდან მათ თანაბარი ღირებულება გააჩნია.

12. თუმცა ასამბლეა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დასაშვები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ადამიანს უნდა იცავდეს არა მხოლოდ საჯარო ორგანოების მხრიდან ჩარევისგან, არამედ ასევე კერძო პირებისა და ორგანიზაციების, მათ შორის მედიის მხრიდან ჩარევისგან.

13. ასამბლეას ჯერა, რომ რადგანაც ყველა წევრმა ქვეყანამ უკვე მოახდინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება ეროვნული კანონმდებლობის მრავალი სისტემა ითვალისწინებს ნორმებს ამ დაცვის უზრუნველსაყოფად, არ არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიის შემქმნელი ახალი კონვენციის შეთავაზების აუცილებლობა.

...”

**D. ვონ ჰანოვერის (Von Hannover) საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის 24 ივნისის რეზოლუცია (no. 59320/00)**

72. 2007 წლის 31 ოქტომბერს მინისტრთა მოადგილეების 1007-ე შეხვედრაზე მიღებული მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია (CM/ResDH(2007)124), მათ შრის დანართი (ამონარიდები):

“მინისტრთა კომიტეტი [მოქმედებს] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 46.2 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით, რომელიც ადგენს, რომ კომიტეტი ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „კონვენცია“ და „სასამართლო“) საბოლოო გადაწყვეტილებების აღსრულებას;

ითვალისწინებს სასამართლოს მიერ კომიტეტისთვის გადაცემულ საბოლოო გადაწყვეტილებებს;

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მიერ ამ საქმეზე დადგენილი კონვენციის დარღვევა ეხება მონაკოს პრინც რეინერ III-ს უფროსი ქალიშვილის, პრინცესა კაროლინა ვონ ჰანოვერის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შელახვას, იმის საფუძველზე, რომ გერმანიის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნა მისი ფოტოების სერიის აკრძალვაზე (დეტალები იხილეთ დანართში);

მოიწვია მოპასუხე სახელმწიფოს, ინფორმაცია მიაწოდოს კომიტეტს [სასამართლო] გადაწყვეტილების საფუძველზე სავალდებულო კონვენციის 46.1 მუხლიდან გამომდინარე გერმანიის ვალდებულების შესასრულებლად მიღებული ზომების შესახებ;

შეისწავლა კონვენციის 46.2 მუხლის შესრულებისთვის კომიტეტის რეგლამენტის შესაბამისად მოპასუხე სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია;

დარწმუნდა იმაში, რომ დადგენილ ვადაში მოპასუხე სახელმწიფომ გადაუხადა განმცხადებელს გადაწყვეტილებაში მითითებული სამართლიანი ანაზღაურება (დეტალები იხილეთ დანართში),

უთითებს რა, რომ სასამართლოს მიერ დარღვევის გამოვლენა გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული სამართლიანი ანაზღაურების გადახდასთან ერთად მოითხოვს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ საჭიროებისამებრ

- ინდივიდუალური ზომების მიღებას დარღვევათა შესაწყვეტად და მათი შედეგების გამოსასწორებლად რამდენადაც ეს შესაძლებელია *restitutio in integrum*, და

- მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის საჭირო ზოგადო ზომების მიღებას;

**აცხადებს**, რომ შეისწავლა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები (იხილეთ დანართი), განახორციელა რა კონვენციის 46.2 მუხლით მისთვის მინიჭებული ფუნქციები და

**წყვეტს**, დახუროს ამ საქმის შესწავლა.

### **რეზოლუციის CM/ResDH(2007)124 დანართი**

ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია...

### **I. სამართლიანი ანაზღაურების გადახდა და ინდივიდუალური ღონისძიებები**

...

#### *b) ინდივიდუალური ღონისძიებები*

მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაძლებელია გერმანული კანონმდებლობით, განმცხადებელმა არ იმოქმედა ევროპული სასამართლოს წინაშე სადაოდ გამხდარი ფოტოების მომავალში გამოქვეყნების აღსაკვეთად, არამედ წამოიწყო საქმისწარმოება მსგავს ფოტოებთან მიმართებით (იხილეთ „ზოგად ღონისძიებებთან“ მიმართებით, #4). სამდივნოსთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ფოტოების შემდგომი გამოქვეყნება არ მომხდარა გერმანული პრესის მიერ.

### **II. ზოგადი ღონისძიებები**

- ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება და გავრცელება: გადაწყვეტილება ფართოდ გავრცელდა და განხილულ იქნა გერმანული იურიდიული საზოგადოების მიერ. ისევე როგორც გერმანიის წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ესეც ხელმისაწვდომია იუსტიციის ფედერალური სამინისტროს ვებ-გვერდზე ([www.bmj.de](http://www.bmj.de), Themen: Menschenrechte, EGMR), რომელზეც განთავსებულია სასამართლოს ვებ-გვერდის ბმული, გადაწყვეტილებების გერმანულ ენაზე ხელმისაწვდომად ([www.coe.int/T/D/Menschenrechtsgerichtshof/Dokumente\\_auf\\_Deutsch/](http://www.coe.int/T/D/Menschenrechtsgerichtshof/Dokumente_auf_Deutsch/)). უფრო მეტიც, გადაწყვეტილება სასამართლოებს და იუსტიციის ორგანოებს დაეგზავნა მოპასუხე სახელმწიფოს წარმომადგენლის წერილით.

- ეროვნული პრეცედენტული სამართლის შეცვლა: მსგავს საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას ეროვნული სასამართლოები ითვალისწინებენ

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას, შესაბამისად მას პირდაპირი მოქმედება აქვს გერმანულ სამართალზე:

1) ცნობილი მომღერლის პარტნიორმა წარმატებით დაასრულა საქმე ბერლინის სააპელაციო სასამართლოში (KG Ur. v. 29.10.2004, 9 W 128/04, *Neue Juristische Wochenschrift*, NJW, 2005, p. 605- 607).

2) ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული პრინციპები მიუხედავად იმისა რომ პირდაპირ კავშირში არ იყო, ასევე აღიარებულ იქნა ჰამბურგის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ყოფილი კანცლერის შროდერის პოპულარობის კომერციული გამოყენების აკრძალვის შესახებ (AG Hamburg, Ur. v. 2.11.2004, 36A C 184/04, *NJW-RR* 2005, p. 196 - 198).

3) ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გერმანიის ფედერალურმა სამოქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც დასაშვები იყო სტატიის გამოქვეყნება საფრანგეთის საავტომობილო გზაზე სიჩქარის გადამეტებისთვის განმცხადებლის მეუღლის დაჯარიმების შესახებ. [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ განაცხადა, რომ საზოგადოებას დასაბუთებული ინტერესი გააჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან ის სამართალდარღვევას წარმოადგენდა, და ეს საქციელი საზოგადოებრივი განსჯის საგნად მიიჩნია (BGH, Ur. v. 15.11.2005, VI ZR 286/04, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე [www.bundesgerichtshof.de](http://www.bundesgerichtshof.de)).

4) რაც შეეხება თავად განმცხადებელს, 2005 წლის ივლისში, ჰამბურგის რეგიონულმა სასამართლომ (*Landgericht*), მიუთითა რა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, განმცხადებლის სასარგებლოდ მიიღ გადაწყვეტილება, აკრძალა რა სენტ-მორიცის ქუჩაზე სათხილამურო არდადეგებისას გადაღებული განმცხადებლისა და მისი მეუღლის ერთობლივი ფოტოს შემდგომი გამოქვეყნება. თუმცა, 2005 წლის დეკემბერში, მეორე ინსტანციის სასამართლომ (ჰამბურგის სააპელაციო სასამართლო, *Oberlandesgericht*) გააუქმა ეს გადაწყვეტილება, დააფუძნა რა საკუთარი გადაწყვეტილება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს (*Bundesverfassungsgericht*) პრეცედენტულ სამართალზე. განმცხადებლის მიერ ფედერალური სამოქალაქო სასამართლოსთვის (*Bundesgerichtshof*) გადახედვისთვის მიმართვის შედეგად, 2007 წლის 6 მარტს ფედერალურმა სამოქალაქო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სადაო ფოტოს გამოქვეყნება დასაშვებია. საკუთარ დასაბუთებაში ეროვნულმა სასამართლომ დააბალანსა რა განსახილველი განსხვავებული ინტერესების, პირდაპირ გაითვალისწინა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული კონვენციიდან გამომდინარე მოთხოვნები (BGH, Ur. v. 6.3.2007, VI ZR 14/06 ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე [www.bundesgerichtshof.de](http://www.bundesgerichtshof.de)) ...

## კანონმდებლობა

### I. განაცხადების განცალკევება

73. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო აღნიშნავს, რომ დიდი პალატის სასარგებლოდ იურისდიქციის დათმობამდე პალატამ წინამდებარე განაცხადები გააერთიანა სხვა განაცხადთან, *აქსელ სპრინგერ AG გერმანიის წინააღმდეგ (Axel Springer AG v. Germany)* (no. 39954/08 – იხილეთ მე-3 პარაგრაფი მაღლა). თუმცა ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტების ბუნებისა და შინაარსობრივი საკითხების გათვალისწინებით, დიდი პალატა საჭიროდ მიიჩნევს #39954/08 განაცხადის გამოცალკევებას წინამდებარე განაცხადებისგან.

### II. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

74. განმცხადებლები ასაჩივრებდა გერმანიის სასამართლოების უარს 2002 წლის 20 თებერვალს ჟურნალ *Frau im Spiege*-ის #9/02-ში და ჟურნალ *Frau aktuell*-ის #9/02-ში გამოქვეყნებული ფოტოს შემდგომი გავრცელების აკრძალვაზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, რომელიც დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით. იხილეთ ამ მუხლის შესაბამისი ამონარიდები:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას...

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ... სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

#### A. დასაშვებობა

75. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო ადგენს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35.3.a მუხლის მნიშვნელობისთვის. ის ასევე აღნიშნავს, რომ მისი დაუშვებლად ცნობის სხვა რაიმე საფუძველი არ დადგინდა და შესაბამისად ის დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

#### B. საქმის არსებითი მხარე

## 1. მხარეთა წერილობითი მოსაზრებები

### (a) მოპასუხე სახელმწიფო

76. მოპასუხე სახელმწიფომ თავიდანვე აღნიშნა, რომ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოსა და [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლოს შორის კონფლიქტი არ არსებობდა. მან განაცხადა რომ თავის 2004 წლის 14 ოქტომბერის გადაწყვეტილებაში (*გორგულის (Görgülü)* გადაწყვეტილება – no. 2 BvR 1481/04, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები #. 111, გვ. 307) ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ არსებობდა მის წინაშე საკონსტიტუციო საჩივრის წარდგენის საფუძვლები ვინაიდან ეროვნულმა სასამართლომ სათანადოდ ვერ გაითვალისწინა კონვენცია და [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. მოპასუხე სახელმწიფომ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმეზე მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ და ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარეს [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, კერძოდ კი *ვონ ჰანოვერის* საქმეზე გადაწყვეტილება. შესაბამისად ვერ მოხდება იმის მტკიცება, რომ გერმანიის სასამართლოების მხრიდან ადგილი ქონდა უარყოფას; პირიქით, მათ მეტი დაცვის გარანტია შექმნეს პიროვნული უფლებების დასაცავად ვიდრე წარსულში იყო.

77. მოპასუხე სახელმწიფომ აღნიშნა, რომ წინამდებარე განაცხადები რეალურად ეხება მხოლოდ ერთ ფოტოს. 2002 წლის 20 თებერვალს გამოქვეყნებული ფოტოები მართალია არ იყო იდენტური, რეალურად იგივე სერიიდან იყო, მიუხედავად იმისა, რომ დამკვირვებლის პოზიციიდან ჩანდა რომ ეს იყო განმცხადებლების მსგავსი ფოტო-წარმოდგენა, ალბათ განსხვავებული ზომითა და ფორმატით. მოპასუხე სახელმწიფომ მიიჩნია, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვალის გადაწყვეტილებით და მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს მიერ შესწავლილ დანარჩენ ფოტოებთან მიმართებით მათ შემდგომ გამოქვეყნებაზე აკრძალვა ძალაში დარჩა ან ისინი წარმოადგენდნენ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს წინაშე დამოუკიდებელი განაცხადის წარდგენის საგანს. განმცხადებლების მიერ თავიანთ წერილობით

მოსაზრებებში ნახსენები სხვა ფოტოები [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ არ უნდა გაითვალისწინოს, ვინაიდან მათთან მიმართებით ეროვნულ დონეზე სამართალწარმოება ჯერ არ დასრულებულა.

78. მოპასუხე სახელმწიფომ განაცხადა, რომ *ვონ ჰანოვერის* საქმეზე გადაწყვეტილებამდე გერმანიის სასამართლოები ეყრდნობოდნენ „თანამედროვე საზოგადოების *par excellence* ფიგურის“ მკაცრ და სწრაფ კონცეფციას, რაც გერმანიის სამართლის თანახმად შეზღუდული დაცვით სარგებლობდა. *ვონ ჰანოვერის* საქმეზე გადაწყვეტილების შემდგომ მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ უარყო ძველი კონცეფცია და განავითარა (რანჟირებული) დაცვის კონცეფცია, რომლის თანახმადაც იმ მომენტიდან აუცილებელი იყო ყურადღების მიქცევა იმაზე თუ რატომ არსებობდა თითოეული ფოტოს გამოქვეყნების ინტერესი. უფრო მეტიც, მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს მიერ მიღებული ახალი მიდგომის მიხედვით კონკურენტული ინტერესების დაბალანსებისას ხდებოდა იმის განსაზღვრა, გამოქვეყნებას შეჰქონდა თუ არა წვლილი საჯარო დებატში. ამასთან მიმართებით პუბლიკაციის საინფორმაციო ღირებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა. თუკი შევაჯამებთ, მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს ახალი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, რომელიც ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომაც გაიზიარა, პერსონალური უფლებების დასაცავად მეტი დაცვა იყო დასაშვები, რასაც ადასტურებდა ის ფაქტი რომ გამოქვეყნებაზე აკრძალვა განისაზღვრა თავდაპირველად წარდგენილი სამი ფოტოდან ორისთვის. ამასთან, სადაო ფოტო და მასზე თანდართული სტატიები შეიძლება აშკარად გაიმიჯნოს *ვონ ჰანოვერის* საქმეზე სადაო ფოტოებისგან და მათი თანმდევი კომენტარებისგან.

79. მოპასუხე სახელმწიფო სადაოდ ხდიდა განმცხადებლების მტკიცებას იმის თაობაზე, რომ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს ნათელი მიგნებების მიხედვით, პირველი განმცხადებელი კერძო პირი იყო. [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში მოიხსენია ის საჯარო ფიგურად, რათა მოეხდინა მისი გამოიჯნა კერძო პირისგან (*გურგენიძე (Gurgenidze)*, ციტირება მაღლა, § 40, 2006 წლის 17 ოქტომბერი; *Sciacca*, ციტირება მაღლა, § 27; და

*რეკლოსი და დავურლისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Reklos and Davourlis v. Greece)*, no.1234/05, § 38, 2009 წლის 15 იანვარი). განმცხადებლების საჯარო ფიგურებად კატეგორიზებისას გერმანიის სასამართლოებმა გაიზიარეს [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. როგორც მმართველის დინასტიის წევრი პირველი განმცხადებელი სამეფოში ოფიციალური ფუნქციის მატარებლის სახით წარდგებოდა საწოგაოდების წინაშე. უფრო მეტიც, ის იყო პრინცესა გრაისის ფონდის თავმჯდომარე, რომლის საქმიანობის შესახებაც მონაკოს სახელმწიფო ორგანოები ინფორმაციას აქვეყნებდნენ სამეფოს ყოველწლიურ ოფიციალურ ალმანახში.

80. მოპასუხე სახელმწიფომ აღნიშნა, რომ განმცხადებლები ეროვნული სასამართლოების წინაშე სადაოდ არ ხდიდნენ იმ გარემოებებს, რომელშიც ფოტოები გადაიღეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ის გარემოებები იყო, რომელსაც როგორც წესი სასამართლოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. მიუხედავად იმისა, რომ სადაო ფოტოები გადაიღეს შესაბამისი პირების წინასწარი ინფორმირების ან თანხმობის გარეშე, ეს არ ნიშნავს, იმას, რომ ისინი მალულად ან განმცხადებლისთვის არასასურველ გარემოებებში გადაიღეს.

81. მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ გარკვეული საქმეების განსაკუთრებული ბუნება, როგორიცაა წინამდებარე საქმე, რომელზეც ეროვნულ სასამართლოებს მოსთხოვეს ორი ან მეტი კერძო პირის უფლებებისა და ინტერესების დაბალანსება, აისახება იმ ფაქტში [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს წინაშე ინიცირებული წარმოება თავდაპირველი სამართლებრივი მოქმედების გაგრძელებაა, სადაც ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების მონაწილე პოტენციურად [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოსთვის მიმმართველია. სწორედ ამის გამო კონკურენტული ინტერესების ერთჯერადი დაბალანსება არ იყო საკმარისი და აუცილებელია გადაჭრის გზების „კორიდორი“, რომლის ფარგლებშიც ეროვნულ სასამართლოებს უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღება კონვენციის შესაბამისად. თ ასე არ მოხდება, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო იძულებული გახდება თითოეულ საქმეზე თავად მიიღოს გადაწყვეტილება, რაც ნამდვილად არ არის მისი ამოცანა. შესაბამისად მან უნდა შემოფარგლოს მის მიერ საქმეთა შესწავლისა და გადახედვის

ფარგლები მხოლოდ იმ შემთხვევებით, როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს კონკრეტული გარემოებები დაბალანსებისას ან როდესაც ასეთი დაბალანსების შედეგი აშკარად არაპროპორციული იყო (მაგალითისთვის იხილეთ, *კუმპანა და მაზარე რუმინეთის წინააღმდეგ (Cumpănă and Mazăre v. Romania)* [დიდი პალატა], no. 33348/96, §§ 111-120, ECHR 2004-XI). მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის განხილვისას შესაბამისი პირების მიერ თავისუფლების მოპოვება უტოლდება სახელმწიფოს მხრიდან კომპეტენციის დაკარგვას, ხოლო მოქალაქეებს შორის ურთიერთობისას ერთი პირის უფლებისთვის მეტი ღირებულების მინიჭებით იზღუდება მეორე პირის უფლება, რაც კონვენციის 53-ე მუხლით დაუშვებელია. შესაბამისად ამ შემთხვევაში [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მიერ საქმის შესწავლის ფარგლები იზღუდება.

82. მოპასუხე სახელმწიფომ გამოყო წინამდებარე საქმეზე სახელმწიფოს თავისუფალი მოქმედების ფარგლები. ეს ფარგლები დამოკიდებულია სადავო მოქმედების ბუნებაზე და შეზღუდვების მიზნებზე. თავის უკანასკნელ გადაწყვეტილებებში სასამართლო კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით უფრო ფართო თავისუფალი შეფასების ფარგლებს უტოვებს სახელმწიფოებს (*A. ნორვეგიის წინააღმდეგ (A. v. Norway)*, no. 28070/06, § 66, 2009 წლის 9 აპრილი, და *არმონიენე ლიტვის წინააღმდეგ (Armonienė v. Lithuania)*, no. 36919/02, § 38, 2008 წლის 25 ნოემბერი). თ ზოგადად განვიხილავთ, სახელმწიფოების თავისუფალი შეფასების ფარგლები უფრო ფართოა, ვინაიდან არ არსებობს ევროპული კონსენსუსი. მოპასუხე სახელმწიფოს წერილობითი მოსაზრების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სამართლებრივი სისტემების ჰარმონიზების აშკარა ტენდენციები სახეზეა, განსხვავებები მაინც რჩება, რაც დასტურდება კიდევ იმით, რომ ევროკავშირის რეგულაცია არასაკონტრაქტო ვალდებულებებთან მიმართებით სამართლის კოლიზიის შესახებ ვერ იქნა მიღებული (თანამეგობრობის რეგულაცია No. 864/2007, 2007 წლის 11 ივლის – რომის II რეგულაცია). თავისუფალი შეფასების ფარგლები ასევე ფართოა როდესაც ეროვნულმა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა დაადგინონ ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს ან კონვენციით დაცულ უფლებებს შორის (*დიკსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dickson v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], no.

44362/04, § 78 ECHR 2007-XIII, და *ევანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Evans v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], no. 6339/05, § 77, ECHR 2007-I). უფრო მეტიც, ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით იგივე მიდგომა დადგინდა (*შიმბერგერის (Schmidberger)* საქმე 2003 წლის 12 ივნისი, C-112/00, და *ომეგას (Omega)* საქმე 2004 წლის 14 ოქტომბერი, C-36/02).

#### (b) განმცხადებლები

83. განმცხადებლებს სურდათ გამოეკვეთათ წინამდებარე განაცხადები. მას შემდეგ რაც პირველი განმცხადებელის პირველი მეუღლე გარდაიცვალა 1985 წელს უბედური შემთხვევისას, მედიამ გააცნობიერა, რომ ქვრივისა და სამი პატარა ბავშვის ისტორია კარგად გაიყიდებოდა და შექმნიდა მომგებიან ბაზარს. მიუხედავად იმისა რომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის თანახმად საფრანგეთში ამგვარი ფოტოების გადაღება ან გამოქვეყნება უკანონოა, განმცხადებლებს მაინც დევნიდნენ პაპარაცები, რომლებსაც შეეძლოთ ფოტოების სხვა ბაზარზე გაყიდვა, კერძოდ კი გერმანიაში. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება მანამდე საერთოდ არ იცნობდა მეორე განმცხადებელს, ისიც გახდა პაპარაცების დევნი ობიექტი მას შემდეგ რაც დაქორწინდა პირველ განმცხადებელზე და პირველი შვილი შეეძინათ. გერმანიის სამოქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ძალაში დატოვა 1999 წელს, განმცხადებლები უფლებამოსილი იყვნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ამ ფოტოების გამოქვეყნებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებისგან შორს, იზოლირებულ ადგილას იმყოფებოდნენ. განმცხადებლებისთვის მუდამ ცნობილი იყო რომ დაკვირვების, დევნის ქვეშ იყვნენ და მათზე ნადირობდნენ, შესაბამისად *ვონ ჰანოვერის* გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დიდი იმედები გაუჩნდათ. ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ სადაო გადახად ეროვნული სასამართლოების პრეცედენტული სამართალი. შესაბამისად მათ წარმოადგინეს ექვსი შესადარებელი საქმე, რომლებიც *ვონ ჰანოვერის* საქმეში არსებული ფოტოების მსგავს ფოტოებს ეხებოდა. თუმცა გამოიკვეთა, რომ გერმანიის სახელმწიფო ორგანოები არ იყვნენ მზად გაეთვალისწინებინათ ეს გადაწყვეტილება. ეს მტკიცდებოდა იმ დროს გერმანიის

იუსტიციის ფედერალური მინისტრისა და გერმანიის კანცლერის განცხადებებით, რომელთა თანახმადაც [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო მავალდებულებელი გერმანიის სასამართლოებისთვის, ვინაიდან ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს კონვენციასთან მიმართებით უპირატესი ძალა ქონდა. იგივე მეორედბოდა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე წარდგენილ *კაროლინ ვონ ჰანოვერის* საქმეზე შესაბამისი მოსამართლეების მოსაზრებებით და 2004 და 2009 წელს გამოქვეყნებულ სამართლებრივ სტატიებში.

84. გერმანიამ კატეგორიულად უარყო *ვონ ჰანოვერის* გადაწყვეტილების აღსრულება, რითაც დაარღვია კონვენციის 46-ე მუხლი. შესაბამისად, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ *გორგულუს (Görgülü)* საქმეზე გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პირდაპირი აღსრულება თავიდან უნდა იყოს აცილებული. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე საქმეზე აშკარად განაცხადა, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის გადაწყვეტილებას უპირატესი ძალა ქონდა. მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ და ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის მხრივ გვერდი აუარეს *ვონ ჰანოვერის* გადაწყვეტილებას და განაგრძეს თანამედროვე საზოგადოების ფიგურის (*par excellence*) კონცეფციის გამოყენება, რაც სადაოდ გახდა [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ, ტერმინების „გამოჩენილი ადამიანები“ ან „მაღალი ცნობადობის მქონე ადამიანები“ გამოყენებით და *de facto* მითითებით სივრცით იზოლაციაზე შემდგომ აღწერილობაზე დაყრდნობით „დასვენების ან განტვირთვის მომენტი, პროფესიული და ყოველდღიური ცხოვრების სტრესისგან გათავისუფლება“. განმცხადებლების ყოველდღიური და პირადი ცხოვრება კვლავ იყო პრესის სტატიების მთავარი საგანი და მათ დევნიდნენ პაპარაცები, ხოლო გერმანიის სასამართლოები არაფერს აკეთებდნენ ამის შესაჩერებლად. ვინაიდან მათთვის შეუძლებელი იყო იმის დადგენა, დაცულები იყვნენ თუ არა პაპარაცების მხრიდან ზეწოლისგან, ისინი ჩიოდნენ სამართლებრივი დაუცველობის გაუსაძლისი მდგომარეობის გამო და სამართალწარმოების რისკისა და ამის შედეგად ხარჯების შესახებ.

85. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ არცერთ ფოტოს, ცალკე აღებული თუ სტატიასთან არ შეჰქონდა წვლილი დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო ინტერესის მქონე დებატში. ისინი მხოლოდ მკითხველთა გარკვეული ნაწილის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. როგორ და სად ატარებენ განმცხადებლები თავიანთ არდადეგებს მართლაც არ ეხება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვონ საკითხს. დასვენების დროს განმცხადებლის სეირნობა არ წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების მოვლენას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს არ ხდებოდა ოფიციალური ფუნქციის განხორციელებისას.

86. ფოტოზე თანდართულ სტატიაში პრინცი რაინერის ხანგრძლივ ავადმყოფობაზე მითითება არ ცვლის ამ მიგნებას. სტატიაში არ იყო მოცემული ის, რომ პრინცის ავადმყოფობამ ვერ შეაძლებინა მას მონარქის მოვალეობების შესრულება. იქ მოცემული იყო მხოლოდ რამდენიმე წინადადება მისი ავადმყოფობის შესახებ; სტატია ძირითადად განმცხადებლების და პრინცის ოჯახის სხვა წევრების პირად ცხოვრებას ეხებოდა. პრინცის ავადმყოფობა ფაქტიურად პრეტექსტი იყო განმცხადებლების პირადი ცხოვრების ფართოდ გასაშუქებლად. შესაბამისად უკვე სადაო იყო, გამართლებული იყო თუ არა პრინცი რაინერისა და მისი ქალიშვილის სტეფანის ფოტოს გამოქვეყნება. შესაბამისად, ამ საქმეზე სადაო ფოტოს გამოქვეყნება აშკარად გაუმართლებელი იყო. მაშინაც კი, თუ პრინცის ავადმყოფობას რაიმე ინფორმაციული ღირებულება ექნებოდა, განმცხადებლების სათხილამურო არდადეგებსა და ავადმყოფობას შორის რაიმე რეალური კავშირი არ იყო. უფრო მეტიც, მარტივი სტატია ვერ დააკმაყოფილებდა საზოგადოების ინტერესს.

87. განმცხადებლები აცხადებდნენ, რომ პრინცის ავადმყოფობის პერიოდში, სხვა ოჯახების მსგავსად, მათ მიერ ქალიშვილთან ერთად რამდენიმე დღის სათხილამურო კურორტზე გატარებაში არაფერი იყო უჩვეულო ან გასაკიცხი. ეს ინფორმაცია საერთოდ არანაირ კავშირში არ იყო იმასთან, თ როგორ იმართებოდა სამეფო. სწორედ მაშინ როდესაც ოჯახის წევრი ხანგრძლივად ავადმყოფობს, მის ნათესავებს სჭირდებათ განსაკუთრებული დაცვა იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, როცა ისინი განტვირთვას ცდილობენ. თუკი ნათესავის ჯანმრთელობის პრობლემა საკმარისი საფუძველია ფოტოების გამოქვეყნებისთვის,

მე-8 მუხლის გარანტიები შეილახება და პრესას საშუალება ექნება მუდმივად გაავრცელოს ინფორმაცია განმცხადებლების პირად ცხოვრებაზე. თუკი ფოტო ასახავს განმცხადებლებს პრინციტან ვიზიტისას, თანამედროვე საზოგადოების მოვლენა იქნება პრინციტან ვიზიტი, და თუკი ისინი სხვაგან არიან, ეს მიუთითებს მათ არყოფნაზე. გერმანია სრულად აითვისა ეს: მათ შეუძლიათ თავიანთი სტატიები გაამდიდრონ რამდენიმე წინადადებით, ინფორმაციული ღირებულების ხელოვნურად შესაძენად.

88. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ გერმანიის სასამართლოების მიერ [ინტერესების] დაბალანსებისას ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნა გამოტოვებული. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ ისინი არასდროს იღწვოდნენ საკუთარი პირადი ცხოვრების დეტალების მედიის მეშვეობით გასაჯაროებისთვის, არამედ პირიქით – ყოველთვის იცავდნენ თავს უკანონო გასაჯაროებისგან. შესაბამისად მათ ქონდათ ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მათი პირადი ცხოვრება დაცულ იქნებოდა. უფრო მეტიც, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოსაგან განსხვავებით, გერმანულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ განმცხადებლებს განუწყვეტილივ უთვალთვალებდნენ და დევნიდნენ პაპარაცები და ფოტოები გადაიღეს მათ მიერ წინასწარი ცოდნისა და თანხმობის გარეშე. უფრო მეტიც, პირველი განმცხადებელი არასდროს განიხილებოდა მონაკოს სამეფოს მმართველად: ფოტოების გადაღებისას მისი მამა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ კი მის ძმას ალბერტს უნდა მიეღო მმართველობა.

89. განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ ვონ ჰანოვერის გადაწყვეტილების შემდეგ, რომლითაც [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ აშკარად დაადგინა კრიტერიუმი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს ფოტოების უკანონოდ გამოქვეყნებისას, გერმანიის სახელმწიფო ორგანოები ვეღარ ისარგებლებდნენ თავისუფალი შეფასების ფარგლებით. თავიანთ წერილობით მოსაზრებებში, ევროპული კონსესუსი შედგა ამ გადაწყვეტილების შედეგად, რაც აისახა საპარლამენტო ასამბლეის 1998 წლის რეზოლუციაში. დარჩენილი განსხვავება მხოლოდ ნიუანსებში იყო. ვონ ჰანოვერის გადაწყვეტილება დადგენილი პრეცედენტული სამართლის ხაზის ნაწილი იყო, რაც მრავალჯერ დადასტურდა. უფრო მეტიც განმცხადებლები გაოცებული იყვნენ,

იმ ფაქტით რომ [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლოს, უზენაეს ევროპული სასამართლოს, ნაკლებად ფართო შემსწავლელი უფლებამოსილება უნდა ქონოდა, ვიდრე ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც ჟურნალ 7 Tage-ში გამოქვეყნებულ ფოტოსთან დაკავშირებულ საქმეზე (მე-40-ე პარაგრაფი მაღლა), უგულებელყო თერთმეტი პროფესიონალი მოსამართლის მოსაზრება, რომელთაც შეისწავლეს საქმე და შეცვალეს საკუთარი მოსაზრება უკანასკნელ დეტალთან მიმართებითაც კი.

## 2. მესამე პირთა წერილობითი მოსაზრებები

### (ა) გერმანიის ჟურნალის რედაქტორების ასოციაცია

90. მესამე მხარედ წარმოდგენილმა ასოციაციამ განაცხადა, რომ ვონ ჰანოვერის საქმეზე [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლოს გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი გავლენა ქონდა გერმანიაში პრესის თავისუფლებაზე. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, გერმანიის სასამართლოები ნაკლებ ღირებულებას ანიჭებენ პრესის თავისუფლებას, ვიდრე მანამდე იყო. მათი გადაწყვეტილებები ამჟამად [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს შეესაბამება, რომელსაც ისინი სულ უფრო ხშირად ეყრდნობიან. ასოციაცია აცხადებს, რომ „საჯარო მოდარაჯე ძაღლის“ როლში პრესას აქვს არა მხოლოდ პარლამენტზე, მმართველობასა და სხვა პოლიტიკური მოვლენებზე მეთვალყურეობის ამოცანა, არამედ ასევე ზოგადად საჯარო ცხოვრებაზე ზედამხედველობის, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, ხელოვნების, სოციალური, სპორტისა თუ სხვა სფეროში. სამეფო ოჯახის სხვა წევრების მსგავსად, პირველ განმცხადებელს ქონდა სანიმუშო მოდელის ფუნქცია და უდავოდ წარმოადგენდა საჯარო ფიგურას. მესამე პირად ჩართულმა ასოციაციამ აღნიშნა, რომ 2003 წლიდან პირველი განმცხადებელი არის UNESCO-ს კეთილი ნების ელჩი; ეს ტიტული მიენიჭა ისეთ ცნობილ პირებს, როგორებიც არიან ნელსონ მანდელა, კლაუდია კარდინალე თუ პიერ კარდენი. უფრო მეტიც, [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ პირველი განმცხადებელი მოიხსენია საჯარო ფიგურად ვონ ჰანოვერის საქმეზე გადაწყვეტილების შემდგომ მიღებულ გადაწყვეტილებებში. ასოციაციის აზრით, პირადი ცხოვრების დაცვა ვონ ჰანოვერის

გადაწყვეტილებამდეც საკმაოდ ფართო იყო და შესაბამისად დაცვა უფრო გაფართოვდა. შესაბამისად გერმანულმა სასამართლოებმა არ გადააბიჯა მათი თავისუფალი მოქმედების ფარგლებს. საფრანგეთში არსებული სტანდარტი ევროპის მოდელს არ წარმოადგენს.

**(b) საგამომცემლო კომპანია Ehrlich & Sohn GmbH & Co KG**

91. მესამე მხარედ ჩართულმა საგამომცემლო კომპანიამ კვლავ დაადასტურა გერმანიაში პრესის თავისუფლების მნიშვნელოვნება, განსაკუთრებით კი ქვეყნის ნაციონალურ სოციალისტური ეპოქის გათვალისწინებით. მან განაცხადა, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გასართობი პრესაც სარგებლობდა პრესის თავისუფლებისთვის არსებული დაცვით. უფრო მეტიც, როგორც ევროპული ქვეყნის მმართველი პრინცის ქალიშვილი, ამჟამინდელი პრინცის და გერმანიის ყოფილი გამოჩენილი დინასტიის ხელმძღვანელის მეუღლე, პირველი განმცხადებელი უდაოდ იყო საჯარო ფიგურა, რომელიც იქცევდა ყურადღებას, როგორც მინიმუმ ევროპაში. და ბოლოს, საგამომცემლო კომპანია აცხადებდა, რომ 2004 წელს [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მიერ *ვონ ჰანოვერის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ გერმანიის სასამართლოები გაემიჯნნენ მანამდე არსებულ პრაქტიკას, შეზღუდეს რა ოფიციალური ღონისძიებების გარეთ ან დაინტერესებულ მხარეთა წინასწარი თანხმობის გარეშე გადაღებული ფოტოების გამოქვეყნების შესაძლებლობა და შედეგად მეტად შეზღუდეს ინფორმაციისა და პრესის თავისუფლება.

**(c) მედია იურისტთა ასოციაცია**

92. მესამე მხარედ ჩართული ასოციაცია ამტკიცებდა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ ქმნიდა გამოსახულების უფლებას ან უფლე მეტიც უფლებას რეპუტაციაზე. ადამიანის ფოტოს გამოქვეყნება თავისთავად აუცილებლად არ წარმოადგენდა ამ მუხლით გარანტირებულ მუხლში ჩარევას. იმის განსაზღვრისას ქონდა თუ არა ადგილი ჩარევას, უნდა მოხდეს ყველა გარემოების გათვალისწინება და სერიოზულობის გარკვეული ხარისხია აუცილებელი. სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე მედიის მხრიდან გაშუქების დაცვის

ძლიერი გარანტიები. ასოციაციის წერილობით მოსაზრებების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ *ვონ ჰანოვერის* საქმეზე [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ უნდა გათვალისწინებულიყო ფოტოს გადაღების კონტექსტი, ის შორს წავიდა, შეცდომით მიიჩნია რა რომ ნებისმიერი ფოტოს გამოქვეყნება ექცევა მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში. სამწუხაროდ სასამართლომ იგივე პოზიცია დაადასტურა თანმდევ გადაწყვეტილებებშიც. ასოციაცია თვლიდა, რომ სწორი მიდგომა მდგომარეობდა შემდეგში, პირველ რიგში უნდა მომხდარიყო იმის შესწავლა, გამოქვეყნებული ფოტო ექცეოდა თუ არა პირად სფეროში. ამის დასადგენად უნდა განისაზღვროს ყველა გარემოების გათვალისწინებით შესაბამის პირს ქონდა თუ არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმური მოლოდინი. თუ ეს არ დადგინდა, საკითხი ამოწურულია, ვინაიდან კონვენციის მე-8 მუხლი არ მოქმედებს. თუ დადებითად გადაწყდა, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა დააბალანსონ თანასწორი სტატუსის მქონე უფლებები კონვენციის მე-8 მუხლის და მე-10 მუხლის თანახმად, საქმის ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით. დაბალანსება და მისი შედეგები კი ექცევა სახელმწიფოთა თავისუფალი შეფასების ფარგლებში. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო უნდა ჩაერიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული სახელმწიფო ორგანოები ვერ ახორციელებენ დაბალანსების ტესტს ან თუკი გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელი იყო. და ბოლოს, ფოტოს წერილობით სტატიაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილებას რედაქტორის დისკრეციაა და მოსამართლეები ვერ ჩაანაცვლებენ ამას საკუთარი მოსაზრებით.

(d) „მედიის სამართლებრივი დაცვის ინიციატივის“, „საერთაშორისო პრესის ინსტიტუტის“ და „გაზეთებისა და ახალი ამბების გამომცემლების მსოფლიო ასოციაციის“ ერთობლივი წერილობითი მოსაზრება

93. მესამე პირებად ჩართულმა სამმა ასოციაციამ განაცხადა, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებში იკვეთება [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლებების მე-10 მუხლით დაცულთან მიმართებით დაბალანსებისთვის განსაზღვრული პრინციპებისა და სტანდარტების ეროვნული სასამართლოების მიერ ასიმილაციის ტენდენცია, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ფაქტორისთვის

მინიჭებული ღირებულება შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა სახელმწიფოში. ისინი მოუწოდებენ [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლომ თავისუფალი შეფასების უფრო ფართო ფარგლები განუსაზღვროს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს კონვენციის 53-ე მუხლის გამწევი ძალაა. მათ მიუთითეს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, საქმეზე *შასანო და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Chassagnou and Others v. France)* ([დიდი პალატა], nos. 25088/94, 28331/95 და 28443/95, § 113, ECHR 1999-III), აღნიშნეს რა, რომ სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის დაუშვებდა თავისუფალი შეფასების ფარგლებს კონკურენტული ინტერესების არსებობის შემთხვევაში. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მეტად სავარაუდოა რომ განესაზღვროთ თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები კერძო პირებს შორის ურთიერთობასთან მიმართებით პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებით ან სხვა სფეროებში სადაც დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავებული პოზიციების არსებობა (*ფრეტე საფრანგეთის წინააღმდეგ (Fretté v. France)*, no. 36515/97, § 41, ECHR 2002-I). უფრო მეტიც, სასამართლომ ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის დაუშვა თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები საქმეებზე, სადაც ხდებოდა კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლით დაცული უფლებების დაბალანსება (*A ნორვეგიის წინააღმდეგ (A. v. Norway)*), ციტირება მაღლა, § 66). მისი როლი სწორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ დაედასტურებინა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ მექანიზმის არსებობის უზრუნველყოფა, რომელიც განსაზღვრავდა სამართლიან ბალანსს და ეროვნული სასამართლოების მიერ ასეთი ბალანსის დადგენისას კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინება შეესაბამებოდა თ არა კონვენციას და მის პრეცედენტულ სამართალს. ის უნდა ჩაერიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეროვნულმა სასამართლოებმა არარელევანტური ფაქტორები მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ან როდესაც ეროვნული სასამართლოების დასკვნები აშკარას თვითნებური ან საბოლოო ჯამში პირადი ან რეპუტაციის ინტერესების უგულვებელმყოფია. სხვა შემთხვევაში, ის რისკავს, ასეთ საქმეებზე გახდეს სააპელაციო სასამართლო.

### 3. სასამართლოს შეფასება

#### (a) მოქმედების ფარგლები

94. [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ თავიდანვე დაადგინა, რომ მისი ამოცანა არ არის შეისწავლოს გერმანიამ შეასრულა თუ არა კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად მისთვის განსაზღვრული ვალდებულებები 2004 წელს მიღებული *ვონ ჰანოვერის* გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ეს მინისტრთა კომიტეტის პასუხისმგებლობაა (იხილეთ *ვერეინ გეგენ ტიერფაბრიკენ შვეიცი შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (no. 2)* [დიდი პალატა], no. 32772/02, § 61, ECHR 2009-..., და *ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ (Öcalan v. Turkey)* (განჩინება), no. 5980/07, 6 July 2010 წლის 6 ივლისი). წინამდებარე განაცხადები ეხება მხოლოდ ახალ საქმისწარმოებას, რომლის ინიცირება მოახდინეს განმცხადებლებმა *ვონ ჰანოვერის* გადაწყვეტილების შემდეგ და რომელიც ეხება მათ სხვა ფოტოებს (იხილეთ 15-20 პარაგრაფები მაღლა).

**(b) ზოგადი პრინციპები**

*(i) პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით*

95. სასამართლო მიიჩნევს, რომ პირადი ცხოვრების კონცეფცია მოიცავს პირის იდენტობას, როგორც არის პირის სახელი, ფოტო, ან ფიზიკური და მორალური ერთიანობა; კონვენციის მე-8 მუხლი პირველ ყოვლისა ემსახურება თითოეული ადამიანის განვითარების უზრუნველყოფას სხვა ადამიანებთან მიმართებით, გარე ჩარევის გარეშე. შესაბამისად არსებობს ადამიანის სხვებთან ურთიერთობის ზონა საჯარო კონტექსტშიც კი, რაც შეიძლება ექცეოდეს პირადი ცხოვრების სფეროში. შესაბამისად ფოტო შეიძლება იჭრებოდეს ადამიანის პირად ცხოვრებაში, მაშინაც კი თუ ეს ადამიანი საჯარო ფიგურაა (იხილეთ *შუსელი ავსტრიის წინააღმდეგ (Schüssel v. Austria)* (განჩინება), no. 42409/98, 2002 წლის 21 თებერვალი; *ვონ ჰანოვერი (Von Hannover)*, ციტირება მაღლა, §§ 50 და 53; *სციაკა (Sciacca)*, ციტირება მაღლა, § 29; და *პეტრინა რუმინეთის წინააღმდეგ (Petrina v. Romania)*, no. 78060/01, § 27, 2008 წლის 14 ოქტომბერი).

96. რაც შეეხება ფოტოებს, სასამართლო აცხადებს, რომ ადამიანის გამოსახულება წარმოადგენს მისი პიროვნების ერთერთ უმთავრეს ატრიბუტს, ვინაიდან ის ამჟღავნებს ადამიანის უნიკალურ მახასიათებლებს და განასხვავებს მას სხვა

ადამიანებისგან. შესაბამისად საკუთარი გამოსახულების დაცვა პირადი განვითარების ერთერთი არსებითი კომპონენტია. ის ძირითადად გულისხმობს ადამიანის უფლებას გააკონტროლოს გამოსახულების გამოყენება, მათ შორის უარი თქვას მის გამოქვეყნებაზე (იხილეთ *რეკლოსი და დავურლისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Reklos and Davourlis v. Greece)*, ციტირება მაღლა, § 40).

97. სასამართლო ასევე იმეორებს, რომ მიუხედავად პირის საზოგადოებისთვის ცნობადობისა, მას შეიძლება ქონდეს მისი პირადი ცხოვრების დაცვის ან პატივისცემის „ლეგიტიმური მოლოდინი“ (იხილეთ *ვონ ჰანოვერი (Von Hannover)*, ციტირება მაღლა, § 51; *Leempoel & S.A. ED. Ciné Revue ბელგიის წინააღმდეგ (Leempoel & S.A. ED. Ciné Revue v. Belgium)*, no. 64772/01, § 78, 2006 წლის 9 ნოემბერი; *შპს შტანდარტ ვერლაგს ავსტრიის წინააღმდეგ (Standard Verlags GmbH v. Austria (no. 2))*, no. 21277/05, § 48, 2009 წლის 4 ივნისი; და *აშეტე ფილიპაჰ ასოციეს საფრანგეთის წინააღმდეგ (Hachette Filipacchi Associés (ICI PARIS) v. France)*, no. 12268/03, § 53, 2009 წლის 23 ივლისი).

98. წინამდებარე საქმის მსგავს საქმეებზე მთავარ საკითხს წარმოადგენს არა სახელმწიფოს ქმედება, არამედ ეროვნული სასამართლოების მხრიდან განმცხადებლების პირადი ცხოვრების სავარაუდოდ არაადეკვატური დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ მე-8 მუხლის მთავარი ამოცანაა დაიცვას საჯარო უწყებების მხრიდან თვითნებური ჩარევისგან, ის არ ავალდებულებს სახელმწიფოებს თავი შეიკავოს ასეთი ჩარევისგან: ამ ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად პირადი და ოჯახური ცხოვრების ეფექტიანი დაცვის აუცილებელი ნაწილი შეიძლება იყოს პოზიტიური ვალდებულება. ეს ვალდებულებები შეიძლება ითვალისწინებდეს ისეთი ღონისძიებების მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების პატივისცემას თვით კერძო პირთა შორის ურთიერთობაში (იხილეთ *X და Y ჰოლანდიის წინააღმდეგ (X and Y v. the Netherlands)*, 1985 წლის 26 მარტი, § 23, სერია A no. 91, და *არმონიენ (Armoniené)*, ციტირება მაღლა, § 36). იგივე ვრცელდება სხვათა მხრიდან გამოსახულების ბოროტად გამოყენებაზე (იხილეთ *შუზელი (Schüßel)*, ციტირება მაღლა; *ვონ ჰანოვერი (Von Hannover)*, ციტირება მაღლა, § 57; და *რეკლოსი და დავურლისი (Reklos and Davourlis)*, ციტირება მაღლა, § 35).

99. მე-8 მუხლის ფარგლებში სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის კავშირი არ არის ზუსტად

განმარტებული; თუმცა ამასთან მიმართებით მოქმედი პრინციპები იგივეა. ორივე შემთხვევაში შესაბამის კონკურენტულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსია განმსაზღვრელი (იხილეთ *უაითი შვედეთის წინააღმდეგ (White v. Sweden)*, no. 42435/02, § 20, 2006 წლის 19 სექტემბერი, და *გურგენიძე*, ციტირება მაღლა, § 37).

(ii) გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით

100. წინამდებარე განაცხადებზე აუცილებელია დადგინდეს სამართლიანი ბალანსის არსებობა განმცხადებლების პირადი ცხოვრების პატივისცემასა და საგამომცემლო კომპანიის კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლება. შესაბამისად [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გაიმეოროს ის პრინციპები, რომლებიც მოქმედებს ამ მუხლთან მიმართებით.

101. გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთერთი უმთავრესი საყრდენი და მისი განვითარებისა და თითოეული ადამიანის თვითრეალიზაციის აუცილებელი პირობაა. რაც შეეხება 10.2 მუხლს, ის მოქმედებს არა მარტო „ინფორმაციაზე“ ან „იდეაზე“, რომელიც სასურველი ფორმით მიიღეს ან მიიჩნევა არა შეურაცხყოფლად, ან სულაც ინდიფერენტულად, არამედ ასევე ისეთზე, რომელიც შეურაცხყოფს, შოკს გვრის ან შემაწუხებელია. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობის და ფართოდ აზროვნების მოთხოვნა, რომლის გარეშეც არ არსებობს „დემოკრატიული საზოგადოება“. როგორც ეს მე-10 მუხლშია განსაზღვრული, გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება გამონაკლისებს, რომლებიც აუცილებლად მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული და ნებისმიერი შეზღუდვის აუცილებლობა დამაჯერებლად უნდა დასაბუთდეს (სხვა წყაროებთან ერთად იხილეთ, *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom)*, 1976 წლის 7 დეკემბერი, § 49, სერია A no. 24, *ედისიონს პლონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Editions Plon v. France)*, no. 58148/00, § 42, ECHR 2004-IV; და *ლინდონი, ოჩაკოვსკი-ლოურენსი და ჟული საფრანგეთის წინააღმდეგ (Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France)* [დიდი პალატა], nos. 21279/02 და 36448/02, § 45, ECHR 2007-IV).

102. სასამართლომ ასევე კვლავ აღნიშნა პრესის არსებითი მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ პრესამ არ უნდა გადააბიჯოს სხვათა რეპუტაციისა და

უფლებების დაცვის გარკვეულ ზღვრებს, მისი ამოცანაა, მის ვალდებულებებთან და პასუხისმგებლობასთან შესატყვისი ფორმით გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესის თემებზე. არა მარტო პრესის ამოცანაა გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია და იდეები, არამედ ასევე საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს ეს ინფორმაცია და იდეები. წინააღმდეგ შემთხვევაში პრესა ვერ შეასრულებს თავის როგორც „საჯარო მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქციას (იხილეთ *ბლადეტ ტრომსო და სტენსაასი ნორვეგიის წინააღმდეგ (Bladet Tromsø and Stensaas v. Norway)* [დიდი პალატა], no. 21980/93, §§ 59 და 62, ECHR 1999-III, და *პედერსენი და ბაადსგარტი დანიის წინააღმდეგ (Pedersen and Baadsgaard v. Denmark)* [დიდი პალატა], no. 49017/99, § 71, ECHR 2004-XI).

უფრო მეტიც, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს, არამედ ეროვნული სასამართლოების ამოცანაა საკუთარი მოსაზრებები მიაწოდოს პრესას თუ კონკრეტულ საქმეზე გამუქების რა ტექნიკა უნდა გამოიყენონ (იხილეთ *ჯერსილსი დანიის წინააღმდეგ (Jersild v. Denmark)*, 1994 წლის 23 სექტემბერი, § 31, სერია A no. 298, და *სტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ (Stoll v. Switzerland)* [დიდი პალატა], no. 69698/01, § 146, ECHR 2007-V).

103. და ბოლოს სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ გამოხატვის თავისუფლება ასევე მოიცავს ფოტოების გამოქვეყნებას (იხილეთ *ოსტერრეიხიშერ რუნდფუნკი ავსტრიის წინააღმდეგ (Österreichischer Rundfunk v. Austria)* (განჩინება), no. 57597/00, 2004 წლის 25 მაისი, და *შპს ვერლაგსგრუპ ნიუსი ავსტრიის წინააღმდეგ (Verlagsgruppe News GmbH v. Austria)* (no. 2), n° 10520/02, §§ 29 და 40, 2006 წლის 14 დეკემბერი). თუმცე ეს ის სფეროა, რომელშიც სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ფოტოზე შეიძლება მოცემული იყოს ძალიან პირადი ინფორმაცია ან ინტიმურიც კი ამ პირის ან მისი ოჯახის შესახებ (იხილეთ *ვონ ჰანოვერი (Von Hannover)*, ციტირება მაღლა, § 59; *აშეტ ფილიპაჩი ასოციე საფრანგეთის წინააღმდეგ (Hachette Filipacchi Associés v. France)*, no. 71111/01, § 42, ECHR 2007-VII; და *ეირიკაინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (Eerikäinen and Others v. Finland)*, no. 3514/02, § 70, 2009 წლის 10 თებერვალი).

უფრო მეტიც, „სენსაციონალისტურ“ პრესაში ან „რომანტიკულ“ ჟურნალებში გამოქვეყნებული ფოტოები, რომლებიც როგორც წესი

გამიზნულია ამა თუ იმ ადამიანის პირადი ცხოვრების დეტალების მიმართ საზოგადოების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისკენ (იხილეთ *სოსიერე პრისმა პრესი საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Société Prisma Presse v. France*) (განჩინება.), nos. 66910/01 და 71612/01, 2003 წლის 1 ივლისი, და *აშეტ ფილიპაჩი ასოსიე საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Hachette Filipacchi Associés v. France*) (ICI PARIS), ციტირება მაღლა, § 40), გადაღებულია უწყვეტი ზეწოლის პირობებში, რამაც შეიძლება შესაბამის პირში გააჩინოს მათი პირად ცხოვრებაში შეჭრის ან დევნის ძლიერი განცდა (იხილეთ *ვონ ჰანოვერი* (*Von Hannover*), ციტირება მაღლა, § 59, და *გურგენიძე*, ციტირება მაღლა, § 59).

(iii) თავისუფალი შეფასების ფარგლებთან დაკავშირებით

104. სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ ცალკეულ პირთა შრის ურთიერთობების სფეროში კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ღონისძიებების არჩევანი წარმოადგენს ხელშემკვრელი სახელმწიფოების თავისუფალი შეფასების ფარგლებში განსახილველ საკითხს, კერძოდ კი სახელმწიფოს ვალდებულება არის პოზიტიური თუ ნეგატიური. პირადი ცხოვრების პატივისცემის უზრუნველყოფის სხვადასხვა გზა არსებობს და სახელმწიფოს ვალდებულების ბუნება დამოკიდებული იქნება პირადი ცხოვრების განსახილველ კონკრეტულ ასპექტზე (იხილეთ *X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ* (*X and Y v. the Netherlands*), ციტირება მაღლა, § 24, და *ოდიევერი საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Odièvre v. France*) [დიდი პალატა], no. 42326/98, § 46, ECHR 2003-III).

მსგავსად ამისა კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზეც ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ თავისუფალი შეფასების ფარგლებით იმის განსაზღვრისას, ამ მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას არის თუ არა აუცილებელი და რა ფარგლებში (იხილეთ *ტამერი ესტონეთის წინააღმდეგ* (*Tammer v. Estonia*), no. 41205/98, § 60, ECHR 2001-I, და *პედერსენი და ბაადსგარდი* (*Pedersen and Baadsgaard*), ციტირება მაღლა, § 68).

105. თუმცა, თავისუფალი შეფასების ეს ფარგლები ევროპულ მეთვალყურეობასთან ერთად განიხილება, რაც მოიცავს როგორც კანონმდებლობას, ისე მისი იმპლემენტაციისთვის მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის დამოუკიდებელი სასამართლოების მიღებულთ (იხილეთ, *mutatis mutandis*, *პეკი*

გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Peck v. the United Kingdom*), no. 44647/98, § 77, ECHR 2003-I, და *კარჰუვაარა და ილტალეჰტი* (*Karhuvaara and Iltalehti*), ციტირება მაღლა, § 38). საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს ამოცანას წარმოადგენს არა ეროვნული სასამართლოების ჩანაცვლება, არამედ მთლიანად საქმის კრილში იმის გადახედვა თავისუფალი შეფასების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება თუ არა კონვენციის ნორმებს (იხილეთ *პეტრენკო მოლდოვას წინააღმდეგ* (*Petrenco v. Moldova*), no. 20928/05, § 54, 2010 წლის 30 მარტი; *პოლანკო ტორესი და მოვილა პოლანკო ესპანეთის წინააღმდეგ* (*Polanco Torres and Movilla Polanco v. Spain*), no. 34147/06, § 41, 2010 წლის 21 სექტემბერი; და *პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ* (*Petrov v. Bulgaria*) (განჩინება.), no. 27103/04, 2010 წლის 2 ნოემბერი).

106. წინამდებარე საქმის მსგავს საქმეებში, სადაც აუცილებელია პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაბალანსება გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, სასამართლო თვლის რომ თეორიულად განაცხადის შედეგები არ უნდა განსხვავდებოდეს იმის მიხედვით სასამართლოს ის წარედგინა პირის მიერ კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე თუ საგამომცემლო კომპანიამ კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებით. მართლაც პრინციპის დონეზე ეს უფლებები იმსახურებს თანაბარ დაცვას (იხილეთ *აშეტე ფილიპაჰ ასოციეს საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Hachette Filipacchi Associés (ICI PARIS)*), ციტირება მაღლა, § 41; *ტიმციუსი რუმინეთის წინააღმდეგ* (*Timciuc v. Romania*) (განჩინება.), no. 28999/03, § 144, 2010 წლის 12 ოქტომბერი; და *მოსლეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Mosley v. the United Kingdom*), no. 48009/08, § 111, 2011 წლის 10 მაისი; იხილეთ ასევე საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის მე-11 ნაწილი - 70-ე პარაგრაფი მაღლა). შესაბამისად, თავისუფალი შეფასების ფარგლები ორივე შემთხვევაში თეორიულ დონეზე იგივე უნდა იყოს.

107. თუკი ეროვნული სახელმწიფო ორგანოები დაბალანსებას მოახდენენ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი კრიტერიუმის შესაბამისად, [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლოს ძლიერი არგუმენტები დასჭირდება ეროვნული სასამართლოების პოზიციის ჩასანაცვლებად (იხილეთ *MGN Limited გაერთიანებული*

სამეფოს წინააღმდეგ (*MGN Limited v. the United Kingdom*), no. 39401/04, §§ 150 და 155, 2011 წლის 18 იანვარი, და *პალომო სანჩესი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ (Palomo Sánchez and Others v. Spain)* [GC], nos. 28955/06, 28957/06, 28959/06 და 28964/06, § 57, 12 septembre 2011 წლის 12 სექტემბერი).

(iv) დაბალანსების ტესტის კრიტერიუმი

108. გამოხატვის თავისუფლების უფლების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან მიმართებით დაბალანსებისას გამოსაყენებელი პრეცედენტულ სამართალში დადგენილი წინამდებარე საქმის შესატყვისი კრიტერიუმი იხილეთ აქვე.

(ა) საზოგადო ინტერესის დებატში წვლილის შეტანა

109. საწყისი არსებითი კრიტერიუმია პრესაში გამოქვეყნებული ფოტოების ან სტატიების წვლილი საზოგადო ინტერესის დებატში (იხილეთ *ვონ ჰანოვერი (Von Hannover)*, ციტირება მაღლა, § 60; *ლემპოელი და S.A. ED სინე ლევე (Leempoel & S.A. ED. Ciné Revue)*, ციტირება მაღლა, § 68; და *შპს შტანდარდ ვერლაგსი (Standard Verlags GmbH)*, ციტირება მაღლა, § 46). საზოგადო ინტერესის განმარტება დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე. სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს, რომ მან ასეთი ინტერესის არსებობა აღიარა არა მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის როდესაც გამოცემა ეხება პოლიტიკურ საკითხებს ან დანაშაულს (იხილეთ *უაითი (White)*, ციტირება მაღლა, § 29; *ეგელანდი და ჰანსეიდი ნორვეგიის წინააღმდეგ (Egeland and Hanseid v. Norway)*, no. 34438/04, § 58, 2009 წლის 16 აპრილი; და *ლემპოელი და S.A. ED სინე ლევე (Leempoel & S.A. ED. Ciné Revue)*, ციტირება მაღლა, § 72), არამედ ასევე როცა ის ეხება სპორტულ მოვლენებს ან მოქმედ მსახიობებს (იხილეთ *შპს ნიკოვიცი და ვერლაგსგრუპე ნიუსი ავსტრიის წინააღმდეგ (Nikowitz and Verlagsgruppe News GmbH v. Austria)*, no. 5266/03, § 25, 2007 წლის 22 თებერვალი; *კოლაკო მესტრე და სოსიეტე ინდეპენტე დე კომუნიკადო პორტუგალიის წინააღმდეგ (Colaço Mestre and SIC – Sociedade Independente de Comunicação, S.A. v. Portugal)*, nos. 11182/03 და 11319/03, § 28, 2007 წლის 26 აპრილი; და *სოპანი თურქეთის წინააღმდეგ (Sapan v. Turkey)*, no. 44102/04, § 34, 2010 წლის 8 ივნისი). თუმცა, ჭორი რესპუბლიკის პრეზიდენტის ოჯახური პრობლემებისა და ცნობილი მომღერლის ფინანსური

სირთულეები არ იქნა განხილული საზოგადო ინტერესის საგნად (იხილეთ *შპს შტანდარდ ვერლაგესი (Standard Verlags GmbH)*, ციტირება მაღლა, § 52, და *აშეტე ფილიპაშ ასოციეს საფრანგეთის წინააღმდეგ (Hachette Filipacchi Associés (ICI PARIS))*, ციტირება მაღლა, § 43).

(β) რამდენად ცნობილია ეს პირი და რა არის [მედიის მიერ] გავრცელებული ინფორმაციის საგანი?

110. წინამდებარე კრიტერიუმთან დაკავშირებულია მეორე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი - შესაბამისი პირის როლი ან ფუნქციები და საქმიანობის ბუნება, რომელიც გავრცელებული ინფორმაციის და/ან ფოტოს საგანია. ამასთან მიმართებით უნდა განვასხვავოთ კერძო პირები და საჯარო კონტექსტში მოქმედნი, როგორებიც არიან პოლიტიკური ფიგურები და საჯარო ფიგურები. შესაბამისად, თუკი საზოგადოებისათვის უცნობი კერძო პირები უფლებამოსილი არიან მოითხოვონ თავიანთი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების განსაზღვრული დაცვა, იგივე არ ვრცელდება საჯარო ფიგურებზე (იხილეთ *მინელი შვეიცარიის წინააღმდეგ (Minelli v. Switzerland)* (განჩნება.), no. 14991/02, 2005 წლის 14 ივნისი, და *პეტრენკო (Petrenko)*, ციტირება მაღლა, § 55). ძირეულად უნდა განვასხვავოთ მაგალითად პოლიტიკოსების მიერ მათი ოფიციალური ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებით დემოკრატიულ საზოგადოებაში დებატში წვლილის შემტანი ინფორმაციის გავრცელება და იმ კერძო პირის პირადი ცხოვრების გაშუქება, რომელიც არ ახორციელებს ასეთ ფუნქციას (იხილეთ *ვონ ჰანოვერი (Von Hannover)*, ციტირება მაღლა, § 63, და *შპს შტანდარდ ვერლაგესი (Standard Verlags GmbH)*, ციტირება მაღლა, § 47).

მაშინ როცა წინა საქმეზე პრესა ახორციელებს თავის „საზოგადოებრივი მოდარაჯე მაღლის“ როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო ინტერესის საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების გავრცელებით, ეს როლი ნაკლებ მნიშვნელოვანია უკანასკნელ საქმეზე. მსგავსად ამისა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ სპეციალურ გარემოებებში საზოგადოების უფლება, იყოს ინფორმირებული ვრცელდება საჯარო ფიგურების პირადი ცხოვრების ასპექტებზე, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება პოლიტიკოსებს, იგივე არ იმოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისთვის ცნობილ პირებს შეეხება საქმე, როდესაც გამოქვეყნებული ფოტოები და თანდართული კომენტარი

ექსკლუზიურად ეხება ამ კონკრეტული ადამიანის პირადი ცხოვრების დეტალებს და აქვს ერთადერთი მიზანი - დააკმაყოფილოს საზოგადოების ცნობისმოყვარეობა (იხილეთ *ვონ ჰანოვერი (Von Hannover)*, ციტირება მაღლა, § 65 იქვე ციტირებული მითითებით სხვა წყაროებზე, და *შპს შტანდარდ ვერლაგსი (Standard Verlags GmbH)*, ციტირება მაღლა, § 53; იხილეთ ასევე საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის მე-8 ნაწილი - 71-ე პარაგრაფი მაღლა). უკანასკნელ საქმეზე უპრიანია გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით უფრო ვიწრო ინტერპრეტაცია (იხილეთ *ვონ ჰანოვერი (Von Hannover)*, ციტირება მაღლა, § 66; *აშეტე ფილიპაშ ასოსიეს საფრანგეთის წინააღმდეგ (Hachette Filipacchi Associés (ICI PARIS))*, ციტირება მაღლა, § 40; და *MGN ლიმიტედი (MGN Limited)*, ციტირება მაღლა, § 143).

(γ) ამ პირის წინმსწრები ქცევა

111. ასევე გასათვალისწინებელია ინფორმაციის გავრცელებამდე შესაბამისი პირის ქცევა ან ის ფაქტი, რომ შესაბამისი ფოტო და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია მანამდე არსებულ გამოცემებშიც გამოქვეყნდა (იხილეთ *აშეტე ფილიპაშ ასოსიეს საფრანგეთის წინააღმდეგ (Hachette Filipacchi Associés (ICI PARIS))*, ციტირება მაღლა, §§ 52-53, და *საპანი (Sapan)*, ციტირება მაღლა, § 34). თუმცა თავისთავად მანამდე პრესასთან თანამშრომლობის ფაქტი არ შეიძლება შესაბამისი მხარის ფოტოს გამოქვეყნებისგან დაცვის შეზღუდვის არგუმენტად გამოდგეს (იხილეთ *ეგელანდი და ჰანსეიდი (Egeland and Hanseid)*, ციტირება მაღლა, § 62).

(δ) გამოცემის შინაარსი, ფორმა და თანმდევი შედეგები

112. ფოტოს ან ინფორმაციის გამოქვეყნების ფორმა და ფოტოზე ან ინფორმაციაში შესაბამისი პირის წარმოჩენის მანერა ასევე შესაძლოა გასათვალისწინებელი ფაქტორი იყოს (იხილეთ *Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlagsgesellschaft m.b.H. ავსტრიის წინააღმდეგ (Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlagsgesellschaft m.b.H. v. Austria (no. 3))*, nos. 66298/01 და 15653/02, § 47, 2005 წლის 13 დეკემბერი; *რეკლოსი და დავურლისი (Reklos and Davourlis)*, ციტირება მაღლა, § 42; და *იოკიტაიპალე და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (Jokitaipale and Others v. Finland)*, no. 43349/05, § 68, 6 April 2010). ინფორმაციისა და ფოტოს გავრცელების ფარგლები ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება იყოს, იმის

გათვალისწინებით გაზეთი ეროვნულია თუ ადგილობრივი და როგორია მისი ტირაჟი (იხილეთ *კარჰუვაარი და ილტალეჰტი* (*Karhuvaara and Iltalehti*), ციტირება მაღლა, § 47, და *გურგენიძე* (*Gurgenidze*), ციტირება მაღლა, § 55).

(ე) ფოტოს გადაღების გარემოებები

113. და ბოლოს, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ გამოქვეყნებული ფოტოების გადაღების კონტექსტისა და გარემოებების უგულებელყოფა არ შეიძლება. ამასთან მიმართებით გასათვალისწინებელია ფოტოზე გამოსახულმა პირმა განაცხადა თუ არა თანხმობა ფოტოების გადაღებასა და გამოქვეყნებაზე (იხილეთ *გურგენიძე* (*Gurgenidze*), ციტირება მაღლა, § 56, და *რეკლოსი და დავურლისი* (*Reklos and Davourlis*), ციტირება მაღლა, § 41), თუ ეს განხორციელდა მათი ინფორმირების აგარეშე ან მოტყუებით, ან სხვა უკანონო ფორმით (იხილეთ *აშეტე ფილიპაჰი ასოციეს საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Hachette Filipacchi Associés (ICI PARIS)*), ციტირება მაღლა, § 47, და *ფლინკილა და სხვები ფინეთის წინააღმდეგ* (*Flinkkilä and Others v. Finland*), no. 25576/04, § 81, 2010 წლის 6 აპრილი). გასათვალისწინებელია ასევე [პირადი სივრცეში] შეჭრის ბუნება და სიმწვავე და შესაბამისი პირისთვის ფოტოს გამოქვეყნების შედეგები (იხილეთ *ეგელანდი და ჰანსეიდი* (*Egeland and Hanseid*), ციტირება მაღლა, § 61, და *ტიმციუსი* (*Timciuc*), მაღლა ციტირებული განჩინება, § 150). საზოგადოებისთვის უცნობი კერძო პირისთვის ფოტოს გამოქვეყნება შესაძლოა უფრო არსებით ჩარევას უტოლდებოდეს ვიდრე წერილობითი სტატიის გამოქვეყნება (იხილეთ *ერიკაინენი და სხვები* (*Eerikäinen and Others*), ციტირება მაღლა, § 70, და *A. ნორვეგიის წინააღმდეგ* (*A. v. Norway*), ციტირება მაღლა, § 72).

(ვ) პრინციპების შეფარდება წინამდებარე საქმეზე

114. სასამართლო ითვალისწინებს მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს მიერ *ვონ ჰანოვერის* საქმეზე გადაწყვეტილების შემდეგ თავისი პრეცედენტული სამართის ცვლილებას. ამ სასამართლომ აღნიშნა, *inter alia*, რომ მომავალში მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საკითხს, სადაო პუბლიკაციას შეჰქონდა თუ არა წვლილი ფაქტობრივ დებატში და მისი შინაარსი ცდებოდა თუ არა მხოლოდ საზოგადოების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილს. მან დაადგინა, რომ რაც უფრო

მაღალია საზოგადოებისთვის ინფორმაციული ღირებულება, მეტად შეიძლება მისი გამოქვეყნებისგან დაცვის პირის ინტერესის დათმობა და პირიქით. მართალია აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება ასევე მოიცავს გასართობ პრესას, [სასამართლომ] მიუთითა, რომ მკითხველის ინტერესი, გაერთოს, როგორც წესი ნაკლებწონიანია ვიდრე პირადი სივრცის დაცვის ინტერესი.

115. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა ეს მიდგომა, განაცხადა რა რომ, მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მას კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ეს არ ნიშნავდა, რომ დაცვის მეორე კონცეფცია - ფოტოს თანამედროვე საზოგადოების ნაწილად მიჩნევის და შესაბამისად მასზე გამოსახული პირის თანხმობის გარეშე ფოტოს გამოქვეყნების შეფასებისას განსახილველი კონკურენტულ ინტერესებს შორის ბალანსის დადგენისთვის მეტი მნიშვნელობის მინიჭება - არ შეიძლება ძირითადი კანონის შესაბამისი ყოფილიყო.

116. რადგანაც განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი მიდგომა მხოლოდ იმეორებდა ადრინდელი პრეცედენტული სამართლოს დასაბუთებას მხოლოდ განსხვავებული ტერმინებით, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ მისი ამოცანა არ არის გადასინჯოს შესაბამისი ეროვნული სამართალი და პრაქტიკა *in abstracto* არამედ გადაწყვიტოს, მათი შეფარდების ფორმამ დაარღვია თუ არა კონვენციის მე-8 მუხლი (იხილეთ *კურჰუვაარი და ილტალეჰტი (Karhuvaara and Iltalehti)*, ციტირება მაღლა, § 49).

117. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ მისი ახალი მიდგომით ხელმძღვანელობისას დაადგინა, რომ არც განმცხადებლის სათხილამურო არდადეგებზე ყოფნის ფოტოებთან ერთად გამოქვეყნებული სტატიის ნაწილი და არც თავად ფოტოები შეიცავდა ინფორმაციას, რომელსაც წვლილი შეჰქონდა საზოგადოდ საინტერესო დებატში. მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ იგივე არ შეიძლება ითქვას, პრინც რაინერ III-ის (იმ დროისთვის მონაკოს მოქმედი მმართველის) ავადმყოფობასთან და მისი ავადმყოფობის

პერიოდში მისი ოჯახის წევრების ქცევასთან დაკავშირებულ სტატიებში მოცემულ ინფორმაციაზე. მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს აზრით ეს საკითხი თანამედროვე საზოგადოების მოვლენაა და შესაბამისად ჟურნალები უფლებამოსილი არიან გააშუქონ ეს მოვლენები, მათ შორის ამ პუბლიკაციაში მოცემული სადაო ფოტოები, ვინაიდან ისინი ამყარებდა გადმოცემულ ინფორმაციას და მის ილუსტრირებას ახდენდა.

ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის მხრივ აღიარა, რომ მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ აღიარა, რომ მონაკოს მმართველი პრინცის ავადმყოფობა შეიძლება მიჩნეულ იქნას საზოგადო ინტერესის საკითხად და შესაბამისად პრესა უფლებამოსილია გააშუქოს, თუ როგორ ჩაანაცვლეს პრინცის შვილებმა თავიანთი ოჯახური სოლიდარობის მოვალეობები საკუთარი პირადი ცხოვრების ლეგიტიმური საჭიროებით, რომელთა შორის იყო დასასვენებლად წასვლის სურვილი. მან ასევე დაადასტურა, რომ ფოტოსა და სტატიაში აღწერილ მოვლენას შორის საკმარისად მჭიდრო კავშირი იყო.

118. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო ადგენს, რომ ის ფაქტი, რომ მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლო სადაო ფოტოს ინფორმაციული ღირებულებას აფასებს თანდართული სტატიის ჭრილში, არ შეიძლება კრიტიკას დაექვემდებაროს კონვენციიდან გამომდინარე (იხილეთ, *mutatis mutandis*, ტონსბერგ ბლად A.S. დაჰაუკომი (*Tønsbergs Blad A.S. and Haukom*), ციტირება მაღლა, § 87, და ოსტერიჩიშე რუნდფანკი ავსტრიის წინააღმდეგ (*Österreichischer Rundfunk v. Austria*), no. 35841/02, §§ 68 და 69, 2006 წლის 7 დეკემბერი). რაც შეეხება პრინცი რეინერის ავადმყოფობის თანამედროვე საზოგადოების მოვლენად დახასიათებას, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო მიიჩნევს, რომ გერმანიის სასამართლოების მიერ განვითარებული დასაბუთების გათვალისწინებით, ეს განმარტება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას არაგონივრულად (იხილეთ, *mutatis mutandis*, ედისიონს პლონი (*Editions Plon*), ციტირება მაღლა, §§ 46-57). ამასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ ძალაში დატოვა იმ ორი ფოტოს გამოქვეყნების აკრძალვა, რომლებზეც განმცხადებლები მსგავს მდგომარეობაში იყვნენ, კერძოდ კი იმ საფუძველით, რომ ისინი მხოლოდ გასართობი მიზნით გამოქვეყნდა (იხილეთ 36-ე და 37-ე

პარაგრაფები მალა). შესაბამისად სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს, რომ სადაო ფოტოებს თანმდევი სტატიის ჭრილში, არ შეჰქონდათ წვლილი, რაიმე ხარისხით მაინც, საზოგადოებრივი ინტერესის დებატში. ის კვლავ განმარტავს ამასთან მიმართებით, რომ არა მარტო პრესაა უფლებამოსილი საზოგადოებრივი ინტერესის ყველა საკითხზე გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები, არამედ ასევე საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს ეს ინფორმაცია და იდეები (იხილეთ 102-ე პარაგრაფი მალა).

119. რადგანაც განმცხადებელი ჩიოდა იმ რისკის შესახებ, რომ მედია მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლოს მიერ დადგენილი პირობების მანიპულირებას მოახდენდა, თანამედროვე საზოგადოების ნებისმიერი მოვლენას ქვეტექსტად დაუდებდა რა ფოტოების გამოქვეყნებას სასამართლებლად, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი ამოცანა არ არის წინამდებარე განაცხადების კონტექსტში გადაწყვეტილება გამოიტანოს განმცხადებლების ფოტოების მომავალი გამოქვეყნების კონვენციასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით. თუ ასე მოხდება, მათ სათანადო წესით უნდა მიმართონ შესაბამის ეროვნულ სასამართლოს. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ თუკი სტატია ცნობილი პირის ფოტოს გამოქვეყნების მხოლოდ პრეტექსტია, ამას არანაირი წვლილი არ შეაქვს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში და შესაბამისად არ არსებობს პერსონალური უფლებების დაცვაზე გამოქვეყნების ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭების საფუძველი.

120. ცნობილია, რომ მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ თავისი დასაბუთება დაამყარა დაშვებაზე, რომ განმცხადებლები კარგად ცნობილი საჯარო ფიგურები იყვნენ, რომლებიც იზიდავდნენ საზოგადოებრივ აზრს, ამ დასკვნის მიღების მიზეზებში ჩაღრმავების გარეშე. თუმცა [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, განმცხადებელი ასრულებდა თუ არა ოფიციალურ ფუნქციას მონაკოს სამეფოს სახელით და რა ფარგლებში, არ შეიძლება გაცხადდეს, რომ განმცხადებლები, რომლებიც უდავოდ ძალიან ცნობილები არიან, რიგითი კერძო პირები არიან. საპირისპიროდ ამისა ისინი მიჩნეულ უნდა იქნენ საჯარო ფიგურებად (იხილეთ *გურგენიძე*, ციტირება მალა, § 40; *სციაკა (Sciacca)*, ციტირება

მალა, § 27; *რეკლოსი და დავურლისი (Reklos and Davourlis)*, ციტირება მალა, § 38; და *გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Giorgi Nikolaishvili v. Georgia)*, no. 37048/04, § 123, ECHR 2009-....).

121. მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ შემდეგ შეისწავლა საკითხი, ფოტოების გადაღება მოხდა თუ არა განმცხადებლებისათვის არასასურველ გარემოებებში. მოპასუხე სახელმწიფომ განაცხადა, რომ ის ფაქტი, რომ ფოტოები განმცხადებლების მხრიდან წინასწარი შეცნობის გარეშე გადაიღეს აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მალულად გადაიღეს, განმცხადებლებისათვის არასასურველ გარემოებებში. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ ფოტოები გადაიღეს ზოგადი შევიწროვების პირობებში, რასაც ისინი მუდამ აწყდებოდნენ.

122. სასამართლო ადგენს, რომ მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლებმა არ წარმოადგინეს ამასთან მიმართებით არასასურველი გარემოებების მტკიცებულებები და რომ არაფერი მიუთითებდა ფოტოების მალულად ან ეკვივალენტური საიდუმლო საშუალებებით გადაღება, რაც მათ გამოქვეყნებას უკანონოდ აქცევდა. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის მხრივ განაცხადა, რომ შესაბამისმა საგამომცემლო კომპანიამ წარმოადგინა ჟურნალ *Frau im Spiegel*-ში გამოქვეყნებული ფოტოს გადაღების დეტალები, მაგრამ პირველ განმცხადებელს სამოქალაქო სასამართლოებში არ გაუსაჩივრებია ამ დეტალების ადეკვატურობა, არც განუცხადებია, რომ სადაო ფოტო მისთვის არასასურველ გარემოებებში იქნა გადაღებული.

123. სასამართლო ადგენს, რომ გერმანიის სასამართლოების პრეცედენტული სამართლის თანახმად, გარემოებები, რომელშიც ფოტოები იქნა გადაღებული წარმოადგენს ერთერთ ფაქტორს, რომლის შესწავლაც უნდა მოხდეს საპირისპირო ინტერესების ერთმანეთთან დაბალანსებისას. წინამდებარე საქმეზე ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებიდან ჩანს, რომ ეს ფაქტორი არ საჭიროებდა უფრო გულდასმით შესწავლას, რადგანაც განმცხადებლებს წინა არ წამოუწევიათ რაიმე რელევანტური არგუმენტები და არ არსებობდა რაიმე კონკრეტული გარემოებები, რომლებიც დაასაბუთებდა ფოტოების გამოქვეყნების აკრძალვას. სასამართლო აღნიშნავს, რომ უფრო მეტიც, როგორც მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ მიუთითა,

განმცხადებლების სენტ-მორიცის ქუჩაში ზამთარში გადაღებული ფოტოები არ იყო შეურაცხმყოფელი, რათა გამართლებულიყო მათი აკრძალვა.

**(d) დადგენილება**

124. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი პრეცედენტული სამართლის თანახმად, ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღებით დააბალანსეს საგამომცემლო კომპანიების უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე განმცხადებლების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან მიმართებით. ამ დროს მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს საკითხს, ფოტოებს თანმდევ სტატიასთან ერთობლიობაში, შეჰქონდა თუ არა წვლილი საზოგადო ინტერესის დებატში. მათ ასევე შეისწავლეს ფოტოების გადაღების გარემოებები.

125. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა პირდაპირ გაითვალისწინა სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართალი. მაშინ როცა მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ *ვონ ჰანოვერის* საქმეზე გადაწყვეტილების გათვალისწინებით შეცვალა თავისი მიდგომა, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის მხრივ, არა მარტო დაადასტურა ეს მიდგომა, არამედ ასევე [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართლის დეტალური ანალიზი განახორციელა განმცხადებლის საჩვრის პასუხად იმასთან მიმართებით, რომ მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ უგულებელყო კონვენცია და სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

126. ამ გარემოებებისა და საპირისპირო ინტერესების დაბალანსებისას ეროვნული სასამართლოებისთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო ადგენს, რომ ამ უკანასკნელმა დაიცვა კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე ნაკისრი პოზიტიური ვალდებულება. შესაბამისად, ადგილი არ ქონდა ამ მუხლის დარღვევას.

## აღნიშნულ საფუძვლებზე დაყრდნობით სასამართლო ერთხმად წყვეტს

1. გამოცალკევდეს განაცხადი საქმეზე *აქსელ სპრინგერი AG გერმანიის წინააღმდეგ (Axel Springer AG v. Germany)* (no. 39954/08) წინამდებარე განაცხადებისგან;
2. განაცხადები დასაშვებად იქნეს ცნობილი;
3. ადგენს, რომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას არ ქონდა ადგილი.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გამოქვეყნდა საჯარო მოსმენაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2012 წლის 7 თებერვალს.

მაიკლ ო'ბოილე                      ნიკოლას ბრატუა  
მდივნის მოადგილე              პრეზიდენტი

### © ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

### © Council of Europe/European Court of Human Rights, 2013

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does

not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013**

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).